სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

განათლების მეცნიერება
EDUCATION SCIENCE

WWW.JES.ORG.GE/CONFERENCES

სამეცნიერო კონფერენცია
"ღირებულებები & განათლება"

პროგრამა
თეზისების კრებული

თბილისი
30 სექტემბერი, 2017

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

სამეცნიერო კონფერენცია:

"ღირებულებები და განათლება"

პროგრამა

თეზისების კრებული

გონთოლრებსში, რსც მსრტოვი შეცნთვნცებერლოსა
სრ სრის ყოერლოსბე მნიშენერლოოვნი,
მსგრსმ ის, რსც ძალოსნ მნიშენერლოოვნსა,
შეცნთვნცებლოსღც რთოყლოსა,
ალთმ გსრმორსნი

თბილისი

30 სექტემბერი, 2017

ორგანიზატორები

პარტნიორები

ძვირფასო კოლეგებო,

„ღირებულებები და განათლება,“ ამ თემაზე პირველი სამეცნიერო კონფერენციაა, რომელსაც “მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, საინფორმაციო საგანმანათლებლო რესურსების პროგრამის ფარგლებში, მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის კვირეულის ფარგლებში ატარებს.

განათლების მეცნიერების მკვლევრებს აქვთ შესაძლებლობა, კოლეგებს გაუზიარონ პირადი გამოცდილება ღირებულებების დანერგვის შესახებ განათლებაში და მონაწილეობა მიიღონ დისკუსიაში მათთვის საინტერესო საკითხებზე.

კონფერენციის სტატიები გამოქვეყნდება მასწავლებელთა პროფესიული განვითრების ეროვნული ცენტრის სამეცნიერო რეფერირებად ჟურნალში - "განათლების მეცნიერება".

პატივისცემით

საორგანიზაციო კომიტეტი

სარჩევი

ორგანიზატორები 2

პარტნიორები 2

სარჩევი 4

კონფერენციის მიზანი და ამოცანები 8

საორგანიზაციო კომიტეტი 9

სამეცნიერო კომიტეტი 9

პროგრამა 10

კრიტიკული აზროვნება და განათლების ღირებულებები 13
თ. ტალიაშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს პროსოპოგრაფიული ბაზა, როგორც სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსი და საგაკვეთილო პროცესში მისი გამოყენების პერსპექტივა 16
ნ. დობორჯგინიძე*, თ. კალხიტაშვილი, რ. გუმაშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური პატიოსნება - ღირებულება, ხარისხიანი განათლებისათვის 18
ე. ელიზბარაშვილი[1]*, ი. ლომაძე[2]
[1]საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი [2]საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ღირებულებისა და ცოდნის განათლება 20
თ. მოსიაშვილი*[1], ე. შავერდაშვილი[2]
[1]სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი [2]ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინტერკულტურული განათლება სასკოლო სახელმძღვანელოებში 23
დ. მალაზონია*, ნ. ჭიაბრიშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიაძალადობის გავლენა ბავშვებზე საქართველოში 26
მ. საჯაია[1], ნ. დიხამინჯია*[2]
[1]ინტერნეტგაზეთი „mastsavlebeli.ge" [2]ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

იდენტობის ტრანსფორმაცია ქართველი ემიგრანტების მეორე თაობაში (გერმანიის მაგალითი) **28**
მ. არავიაშვილი
სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარებს ეროვნული ცენტრი

გზა წარსულიდან მომავლისაკენ **31**
ი. ხუნდაძე*, ე. ლომაია
სსიპ თბილისის N162 საჯარო სკოლა

სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციების განვითარება სწავლების დაწყებით საფეხურზე **33**
ლ. მანგოშვილი
სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული საერო სკოლა „ბინული''

კითხვის სწავლება ენობრივი პრაქტიკის მეთოდით **35**
გ. ჭაუჭიძე
სსიპ ქ. მარნეულის მე-2 საჯარო სკოლა

მოსწავლეთა შეფასება საქართველოში – ხარვეზები და ალტერნატივის ღირებულება **37**
მ. გოდუაძე*[1], ქ. მემანიშვილი[2]
[1]მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. [2] აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

განათლებისა და აღზრდის კონცეფცია განათლების სოციოლოგიის ჩამოყალიბების გარიჟრაჟზე **39**
თ. შინჯიაშვილი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ღირებულებებზე დაფუძნებული სკოლა **41**
თ. ჩაგელიშვილი
სსიპ ბ. კაპანაძის სახელობის ძლევიჯვარის საჯარო სკოლა

წიგნიერი გარემო და თავისუფალი არჩევანი - მოსწავლეთა ღირებულებების განმავითარებელი სტიმულები **43**
ლ. კოტორაშვილი
წმინდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლა

ფასეულობითი განათლება სკოლაში **45**
ნ. ჯინჭარაძე

სსიპ გოგიტა კიკნაძის სახელობის ქალაქ თბილისის N 182-ე საჯარო სკოლა

ინტერაქტიური პედაგოგიკა - როლური თამაშები პიროვნების მრავალმხრივი ჩამოყალიბებისთვის **46**
ნ. მესხი*, ზ. კრაინერი
გურამ რამიშვილის სახ. ქ. თბილისის N20 საჯარო სკოლა

ლანდშაფტი როგორც რესურსი და მისი გამოყენების როლი ღირებულებების ფორმირებაში **50**
მ. ფირჩხაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მათემატიკა და ფასეულობითი განათლება **52**
ნ. სვანიძე, დ. ცანავა
იუჯი სკოლა

შემოქმედებითობა სწავლების პროცესში **54**
მ. ჯალიაშვილი
შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი

ლიტერატურული კლუბის როლი მოსწავლეთა ღირებულებების ფორმირების პროცესში **56**
ნ. ფურცელაძე
კერძო სკოლა „ქორალი”

მასწავლებლის და მოსწავლის ურთიერთობა **58**
მ. უდესიანი
ქ. დმანისის სოფ. ზემო ოროზმანის საჯარო სკოლა

ტექსტის მულტისემიოტიკური ინტერპრეტაცია და ახალი უნარების განვითარება **61**
ც. ბარბაქაძე-
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოზარდების სასწავლო მოტივაციის ტიპებისა და სწავლის ხელშემწყობი ფაქტორების კვლევა **62**
თ. მაისურაძე, ნ. ლაბარტყავა*
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გამჭოლი კომპეტენციები - თეორიიდან პრაქტიკამდე **65**
ნ. რატიანი

ევროპული სკოლა

ავტორთა საძიებელი **67**

შენიშვნებისათვის **68**

კონფერენციის მიზანი და ამოცანები

კონფერენციის ძირითადი მიზანია თავი მოუყაროს სხვადასხვა უნივერსიტეტსა და სკოლებში მიმდინარე კვლევით სამუშაოებს, საშუალება მისცეს მეცნიერ–მკვლევრებს მოახდინონ მიღწეული შედეგებისა და გამოცდილების გაზიარება, რაც ხელს შეუწყობს მათ შორის თანამშრომლობის ჩამოყალიბებასა და შემდგომ გაღრმავებას.

კონფერენციაზე მეცნიერ–მკვლევრებისათვის სპეციალურ მოხსენებებს გააკეთებენ საორგანიზაციო კომიტეტის მიერ მოწვეული მეცნიერები.

კონფერენციის ფორმატი ითვალისწინებს საორგანიზაციო კომიტეტის მიერ მოწვეული ცნობილი მეცნიერების პლენარულ მოხსენებას, სამეცნიერო კომიტეტის მიერ შერჩეულ ზეპირ მოხსენებებსა და პოსტერულ (სტენდურ) მოხსენებებს.

კონფერენციის მონაწილე მკვლევრებს საშუალება ექნებათ მოისმინონ დარგის ცნობილი მეცნიერების პლენარული ლექცია, გაეცნონ თანამედროვე კვლევის მიმართულებებს, კვლევის მეთოდებს და დარგის განვითარების ტენდენციებს.

კონფერენციის მონაწილეთა სამეცნიერო თეზისები განთავსდება Google Scholar-ის ბაზაზი, რაც თავის მხრივ წარმოადგენს სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალების მიერ პუბლიკაციის გამოქვეყნებაზე შეთავაზებას.

მონაწილეებს გადაეცემათ სერტიფიკატები.

საორგანიზაციო კომიტეტი

- გიორგი მაჩაბელი (თავმჯდომარე)
- ნატალია ინგოროყვა (მდივანი)
- დავით ხვედელიძე
- სოფიკო ლობჟანიძე
- ნათია ნაცვლიშვილი
- ნინო ლაბარტყავა
- მაია ბიწაძე
- ნანა მაჭავარიანი
- მანანა ბოჭორიშვილი

სამეცნიერო კომიტეტი

- მანანა რატიანი (თავმჯდომარე)
- სოფიკო ლობჟანიძე
- ნინო ლაბარტყვა
- ნესტან რატიანი
- მაია ბიწაძე
- ნინო ჭიაბრიშვილი
- ანა ჯანელიძე
- ელიზბარ ელიზბარაშვილი
- მაია ფირჩხაძე
- ზაქარია გიუნაშვილი
- ზურაბ ბერია

პროგრამა

09:00 **რეგისტრაცია**

10:00 **გახსნა**

10:30 **კრიტიკული აზროვნება და განათლების ღირებულებები**
(პლენარული მოხსენება)
თამარ ტალიაშვილი

11:00 **გამჭოლი კომპეტენციები, თეორიიდან პრაქტიკამდე**
(პლენარული მოხსენება)
ნესტან რატიანი

11:30 **ღირებულებისა და ცოდნის განათლება**
თამარ მოსიაშვილი*, ეკატერინე შავედრაშვილი

11:45 **მოზარდების სასწავლო მოტივაციის ტიპებისა და სწავლის ხელშემწყობი ფაქტორების კვლევა**
თიკო მაისურაძე, ნინო ლაბარტყავა*

12:00 **პოსტერული მოხსენებები ყავის თანხლებით**

13:00 **აკადემიური პატიოსნება - ღირებულება ხარისხიანი განათლებისთვის** (პლენარული მოხსენება)
ელიზბარ ელიზბარაშვილი

13:30 **საქართველოს პროსოპოგრაფიული ბაზა, როგორც სასწვლო საგანმანათლებლო რესურსი და საგაკვეთილო პროცესში მისი გამოყენების პერსპექტივა** (პლენარული მოხსენება)
ნინო დობორჯგინიძე*, თამარ კალხიტაშვილი, რატი გუმაშვილი

14:00 **ინტერკულტურული განათლება სასკოლო სახელმძღვანელოებში**
ნინო ჭიაბრიშვილი, დავით მალაზონია*

14:15 **მოსწავლეთა შეფასება საქართველოში – ხარვეზები და ალტერნატივის ღირებულება**
მარიამ გოდუაძე*, ქეთევან მემანიშვილი

14:30 **სადილი**

15:30 **ლანდშაფტი როგორც რესურსი და მისი გამოყენების როლი ღირებულებების ფორმირებაში**
მაია ფირჩხაძე

15:45 **იდენტობის ტრანსფორმაცია ქართველი ემიგრანტების მეორე თაობაში (გერმანიის მაგალითი)**
მაია არავიაშვილი

16:00 **მედიაძალადობის გავლენა ბავშვებზე საქართველოში.**
ნანა დიხამინჯია*, მალინა საჯაია

16:15 **ტექსტის მულტისემიოტიკური ინტერპრეტაცია და ახალი უნარების განვითარება**
ცირა ბარბაქაძე

16:30 **შემოქმედებითობა სწავლების პროცესში.**
მაია ჯალიაშვილი

16:45 **წიგნიერი გარემო და თავისუფალი არჩევანი - მოსწავლეთა ღირებულებების განმავითარებელი სტიმულები**
ლელა კოტორაშვილი

17:00 **ლიტერატურული კლუბის როლი მოსწავლეტა ღირებულებების ფორმირების პროცესში**
ნათია ფურცელაძე

პოსტერული მოხსენებები

გზა წარსულიდან მომავლისაკენ
ი. ხუნდაძე*, ე. ლომაია

სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციების განვითარება, სწავლების დაწყებით საფეხურზე
ლ. მანგოშვილი

კითხვის სწავლება ენობრივი პრაქტიკის მეთოდით
გ. ჭაუჭიძე

განათლებისა და აღზრდის კონცეფცია, განათლების სოციოლოგიის ჩამოყალიბების გარიჟრაჟზე
თამარ შინჯიაშვილი

ღირებულებებზე დაფუძნებული სკოლა
თამარ ჩაგელიშვილი

ფასეულობითი განათლება სკოლაში
ნინო ჯინჭარაძე

ინტერაქტიური პედაგოგიკა - როლური თამაშები პიროვნების მრავალმხრივი ჩამოყალიბებისთვის
ნანა მესხი*, ზიგფრიდ კრაინერი

მათემატიკა და ფასეულობითი განათლება
ნ. სვანიძე*, დოდო ცანავა

მასწავლებლის და მოსწავლის ურთიერთობა
მ. უდესიანი

კრიტიკული აზროვნება და განათლების ღირებულებები

თ. ტალიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ttaliashvili@iliauni.edu.ge

ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბება ხდება სოციალიზაციის პროცესში და განისაზღვრება სოციალური ფუნქციის განვითარების უნარით. განათლება სოციო-კულტურული ფენომენია, რაც იმას ნიშნავს, რომ ისტორიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განათლება მიზანმიმართულად ორგანიზებული სოციალიზაციის მართვის პროცესს ემსახურება.

როდესაც ვსაუბრობთ განათლების ღირებულებით ასპექტებზე, პირველ რიგში, განვიხილავთ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, რომლებიც კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე ინარჩუნებენ მდგრადობას. ასეთებია: სიცოცხლე, სიყვარული, ჯანმრთელობა, მშვიდობა, სილამაზე, შრომა და სხვა, მაგრამ ყოველი ისტორიული კონკრეტული საზოგადოებ-რივი ფორმაცია ხასიათდება ღირებულებების სპეციფიკური წყობითა და იერარქიით, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურ რეგულაციებს. თანამედროვე საზოგადოების განათლების უმაღლეს ფასეულობას წარმოადგენს კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი, რომელსაც შეუძლია ახალი ცოდნის მოძიება და შექმნა, არასტანდარტული გადაწყვეტილებების მიღება.

განათლების პარადიგმა და დამოკიდებულება ბოლო 20 წლის განმავლობაში იცვლება ყველა მიმართულებით. მეცნიერები თანხმდებიან, რომ მომავლის პერსპექტივაზე გათვლილი განათლების პარადიგმას საფუძვლად ორი პრინციპი უნდა ედოს: 1. ინფორმაციის მზარდ ნაკადში სწრაფი ორიენტაციისა და საჭირო მასალის მომზადების უნარი; 2. უნარი, სწორად იქნეს გააზრებული და გამოყენებული მიღებული ინფორმაცია.

კრიტიკული აზროვნება ინტელექტუალური პროცესია, რომლის დროსაც ხდება გამოცდილების, ფიქრის შედეგად მიღებული ინფორმაციის შეფასება, ანალიზი და კონცეპტუალიზაცია. თუმცა ასევე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ეს არ არის ცივი, რაციონალური გონითი, პროცესი, სადაც ემოციური და კულტურული ფაქტორების გათვალისწინება არ ხდება, ისევე როგორც, პირობითია კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. რობერტ ენისი განსაზღვრავს კრიტიკულ აზროვნებას, როგორც "გააზრებული გადაწყვეტილების მიღებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ და რისი გვჯეროდეს" [1]. პაოლო ფრეირისთვის კრიტიკული აზროვნება აუცილებელია თვითშეფასების ზრდისთვის, "ესაა სწრაფვა ვასწავლოთ მოსწავლეებს როგორ იმოქმედონ საკუთარ ბედზე" [2].

კრიტიკული აზროვნების პროცესი ორი მჭიდროდ დაკავშირებული კომპონენტისაგან შედგება-ვარაუდების იდენტიფიცირება/გადამოწმება და ალტერნატივების შესწავლა/შეფასება

ორივე კომპონენტი თანაბრად მნიშვნელოვანია აზროვნების პროცესის წარმართვისათვის. კრიტიკულ აზროვნებაზე საუბრისას, ვარაუდში ვგულისხმობთ ღირებულებებს, იდეებს, პოზიციებს, ნორმებს, ქცევებს და ა. შ., რომლებიც ადამიანის მიერ ბრმად, გადამოწმების გარეშე არის გაშინაგნებული. ვარაუდების იდენტიფიცირება გულისხმობს ადამიანის დაფიქრებას მისთვის ჩვეულ მოვლენებსა და ფაქტებზე და მასთან დაკავშირებით გონებაში კრიტიკული კითხვების აღმოცენებას.

სასწავლო პროცესის კონსტრუირება კრიტიკული აზროვნების განმავითარებელი სტრატეგიების გამოყენებით მიმართულია როგორც ინტელექტუალური, ასევე ემოციურ-კულტურული და სოციალური უნარების განვითარებაზე:

- შეკითხვების დასმა
- პრობლემის განსაზღვრა
- მტკიცებულების მოძიება
- მოსაზრებების შეფასება
- ალტერნატიული ინტერპრეტაციების და შეხედულებების განხილვა
- დასკვნების გამოტანა
- დასკვნების გადასინჯვა და გადაფასება

კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი ემიჯნება ეგოცენტრიზმსა და სოციოცენტრიზმს [2].

კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი ყოველთვის ღიაა სიახლის მიმართ, აღიქვამს იდეებზე მსჯელობის უსამართლობასა და აბსურდულობას ამ იდეების სიღრმისეული გააზრების გარეშე. კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი აცნობიერებს, რომ ჩვენს მუდმივად ცვალებად და კომპლექსურ სამყაროში, ყველაზე მტკიცე ვარაუდიც კი, შესაძლოა, არაადეკვატური გახდეს დროის თუ სხვა გარემო ცვლილებების გამო. სამყაროს ასეთ დინამიკურ ჭრილში დანახვა, მასში არსებული მოვლენებისა და ვარაუდების კრიტიკულად შეფასება, ალტერნატივების მუდმივი ძიება პიროვნული თუ საზოგადოებრივი პროგრესის უმთავრესი პირობაა.

კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის საჭირო რეკომენდაციებია:

1. გამოიყენეთ პრობლემა სწავლების პრინციპის სახით და გააღვიძეთ მოსწავლეების ცნობისმოყვარეობა. ახალი ინფორმაცია დაუკავშირეთ მათ წინარე ცოდნას და ინტუიციურ წარმოდგენას მოცემულ საგანზე იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომელშიც შეძლებენ მის გამოყენებას.

2. გამოიყენეთ იერარქიები, კითხვების დასმის მეთოდები და ნაცნობი მაგალითები მასალის გაგების, ორგანიზებისა და დეკლარაციული ცოდნის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.
3. გამოიყენეთ მოდელირების, კონსულტაციის, კომბინირების, პრაქტიკისა და შეფასების მეთოდები მსჯელობის უნარ-ჩვევის სწავლებისას.
4. აჩვენეთ მოსწავლეებს მეტაკოგნიტური სტრატეგიები და ჩართეთ მეტაკოგნიტური მინიშნებები საკლასო სავარჯიშოებსა თუ დავალებებში.
5. გამოავლინეთ და განიხილეთ მოსწავლეების წინასწარი შეხედულებები სასწავლო მასალასთან დაკავშირებით და გაუზიარეთ გამოცდილება და ინფორმაცია მიამიტური შეხედულებების დასაძლევად.
6. გამოიყენეთ სოციალური და კოგნიტური სტრატეგიები სწავლის მიზნობრიობისა და მოტივაციის ამაღლებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დიმიტრიდიასი გ., კამბერელისი ჯ., თეორია განათლებისთვის, 2010, გვ. 137-143
2. ტალიაშვილი თ., რატომ უნდა ვასწავლოთ კრიტიკული აზროვნება, „მასწავლებელი“, 2013, 4.
3. UNESCO 2000 - The Seville Recommendation. In: Youth Media Education. Paris: UNESCO

საქართველოს პროსოპოგრაფიული ბაზა, როგორც სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსი და საგაკვეთილო პროცესში მისი გამოყენების პერსპექტივა

ნ. დოზორჯგინიძე*, თ. კალხიტაშვილი, რ. გუმაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
lnino_doborjginidze@iliauni.edu.ge

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის მიერ მომზადებული ციფრული ჰუმანიტარიის მიმართულების პროექტი: XIX-XX საუკუნეების საქართველოს პროსოპოგრაფიული ბაზა და სოციალური კლასტერების ანალიზი (პროექტის ვებგვერდი იხ. http://prosopography.iliauni.edu.ge/). განხილული იქნება საკითხი, როგორ შეიძლება აღნიშნული ბაზის გამოყენება როგორც მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ასევე ისტორიის, გეოგრაფიისა და სხვა სასკოლო საგნების საგაკვეთილო პროცესში.

აღნიშნული ბაზისა და მისი საანალიზო ინსტრუმენტის, სოციალური ქსელის ანალიზატორის შექმნის მიზანია სამეცნიერო-საგანმანათლებლო, ამასთანავე წყაროთმცოდნეობითი რესურსის შექმნა, რომელიც XIX-XX საუკუნეების საქართველოს ისტორიის, ქვეყანაში მიმდინარე სალიტერატურო, სოციალური, კულტურული თუ რელიგიური პროცესების სისტემური რევიზიის, მათზე დაკვირვებისა და ახალი საისტორიო პარადიგმის შექმნის საშუალებას იძლევა.

სამართლიანადაა მიჩნეული, რომ ჩვენი ისტორია დღემდე რჩება იმპერიული პროექტის ფარგლებში დაწერილ ნარატივად და ვერ ხერხდება მისი გადასინჯვა[1]. ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი არის ის, რომ ქართულენოვანი საკვლევი მასალა, მათ შორის ზემოთ დასახელებული პროცესების გასააზრებლად აუცილებელი ქართულენოვანი მასალა, ტექსტები არაა დოკუმენტირებული თანამედროვე ციფრული სტანდარტების მიხედვით. ამის გამო, ერთი მხრივ, ვერ ხერხდება მათი კვლევა და გააზრება თანამედროვე მეცნიერებების პარადიგმების მიხედვით და მეორე მხრივ, ვერ ხერხდება თანამედროვე სტანდარტებით შექმნილი ცოდნის მიწოდება საგანმანათლებლო-სასწავლო სივრცეში. კვლევით და საგანმანათლებლო კონტექსტში ამ ჩამორჩენის დაძლევის მიზნით იქმნება აღნიშნული პროექტი, რომლის მიზანია ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების კვლევის ინსტრუმენტის, პროსოპოგრაფიულ მონაცემთა ბაზის შექმნა და ბაზაში თანდათანობით დაგროვილი სტრუქტურირებული მონაცემების კვლევა/გამოყენება თანამედროვე ციფრული სტანდარტების

[1] იხ. 2016 წელს ბიოლის ფონდის მიერ მოწყობილი არაერთი დისკუსია და ს. ასათიანის წერილი: „გლობალური ისტორია და ჩვენი ხმაწართმეული ისტორიები“.

შესაბამისად. ამ თვალსაზრისით ეს რესურსი ქართულ სივრცეში უიშვიათეს გამონაკლისს წარმოადგენს. ამ ეტაპზე დამუშავებულია და ბაზაში ინტეგრირებული XIX-XX საუკუნეების პუბლიცისტიკა, სერიული დოკუმენტები, პირადი არქივები, ასევე 1918-21 წლების პირველი რესპუბლიკის შესახებ საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალები. წყაროების საფუძველზე ბაზაში შეტანილია მონაცემები 20 000-მდე პირის, 11 000-მდე ფაქტოიდისა და 3400-მდე წყაროს შესახებ. მიმდინარე 2017 წელი ილია ჭავჭავაძის ორმაგი საიუბილეო თარიღია და ილიას უნივერსიტეტმა იგი ილიას წლად გამოაცხადა. ამასთან დაკავშირებით ბაზაში ინტეგრირდება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთელი დოკუმენტაცია, შეიქმნება ამ საზოგადოების წევრთა ქსელი, ისევე როგორც ამ საზოგადოების მიერ გახსნილი სკოლების, ბიბლიოთეკების და უცხოეთში განათლების მიღების მხარდამჭერი ერთობების ბაზა. მოხსენებაში წარმოვადგენთ, როგორ შეიძლება აღნიშნული რესურსის გამოყენება საგაკვეთილო პროცესში, რათა კონკრეტულმა პედაგოგებმა და მოსწავლეებმა თავად აღადგინონ საკუთარი სკოლის, პედაგოგების, მოსწავლეების, ადრინდელი საგაკვეთილო პროცესების რეალური ისტორიები, შექმნან ლოკალური საგანმანათლებლო ქსელის მოდელი, შეაგროვონ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლებისა და ბიბლიოთეკების შესახებ ჯერ კიდევ შემორჩენილი ზეპირი ისტორიები.

2018 წელს ბაზაში ჩაშენდება ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა და მასწავლებელთა მიერ შეგროვილი ინფორმაციის გაფილტვრა და ბაზაში ინტეგრირება. ეს კიდევ უფრო გაზრდის ამ პროექტის მიმართ ინტერესს და მისცემს მათ შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ საკუთარი ქვეყნის ისტორიის რეკონსტრუქციაში.

ბაზის საფუძველზე მომზადდება ვიზუალიზაციები, წარმოდგენილი იქნება 2017 წლის 26 მაისს ილიას უნივერსიტეტში წარმართული პანელური დისკუსიისთვის: ევროპული განათლებისა და მეცნიერების იდეა პირველი რესპუბლიკის საგანმანათლებლო პოლიტიკაში მომზადებული ვიზუალიზაციები:

7. www.sample.ge/edu/0.html - 1918-21 წლების საგანმანათლებლო დაწესებულებების ოთხდონიანი რუკა.
8. http://www.sample.ge/edu/ - 1818-21 წლების სასკოლო კურიკულუმისა და უცხოეთში სასწავლებლად გაგზავნილი სტუდენტების მონაცემთა ვიზუალიზაცია, სკოლების განშლის გრაფიკი და გეგმით გასახსნელი სკოლების რუკა, (1919 წლის მონაცემებით), საზღვარგარეთ გაგზავნილი სტუდენტების გეოგრაფია, სპეციალობები და საზღვარგარეთ განათლებამიღებული მასწავლებლების რუკა.

აკადემიური პატიოსნება – ღირებულება, ხარისხიანი განათლებისათვის

ე. ელიზბარაშვილი[1]*, ი. ლომაძე[2]

[1]საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
[2]საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
e.eizbarashvili@agruni.edu.ge

დღეისათვის სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიღწევების საზოგადოებაში იმპლემენტაცია მოითხოვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ხარისხიან განათლებას. როგორც სამეცნიერო, ინდუსტრიული, სადიაგნოსტიკო, ისე საყოფაცხოვრებო ტექნიკა უკვე აღჭურვილია მრავალი ფუნქციური შესაძლებლობებით და მოითხოვს შესაბამის ცოდნას ეფექტური გამოყენებისათვის. ამიტომ როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე საუნივერსიტეტო საფეხურზე ხარისხიანი განათლების მიღწევა ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევაა განათლების სისტემისათვის. როგორ მიიღწევა ხარისხიანი განათლება?

ხარისხიანი განათლების მიღწევა მრავალ დიდ და მცირე ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელიც შეიძლება შემდეგ კატეგორიებად დაიყოს:

განათლების სისტემა და პოლიტიკა (საკანონმდებლო ბაზა, ქვეყნის სტრატეგიული გეგმა და ა. შ.)

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
- ადამიანური რესურსები
- აკადემიური პატიოსნება

აკადემიური პატიოსნება ძალიან მჭიდრო კავშირშია ადამიანურ რესურსებთან, მაგრამ დღევანდელი შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, იგი ცალკე ფენომენად უნდა იქნეს განხილული. იგი სისტემურ პრობლემას უფრო წარმოადგენს, ვიდრე ცალკეულ პერსონალიებზე დამოკიდებულს. პრობლემა სათავეს წინა საზოგადოებრივი ფორმაციიდან იღებს და ფართოდ აქვს ფესვები გადგმული საზოგადოებაში. მე-20 საუკუნის გარიჟრაჟზე ახალი საზოგადოებრივი წყობილების ჩამოყალიბებამ დაბადა ე. წ. საბჭოთა სკოლა, რომელიც მანამდის არსებულ გერმანულ მოდელს ეფუძნებოდა. ახალი სახელმწიფოს შენება მოითხოვდა ახალი ტექნოლოგიების შექმნას, დანერგვას და გამოყენებას. ამიტომ ერთი შეხედვით სახელმწიფოს კარგი განზრახვა - ყველას მიეღო საშუალო განათლება - გეგმიური ეკონომიკის პირობებში მიზანს ასცდა. განათლება არასწორი გზით წავიდა და გადაგვარდა. განათლების ინდუსტრია, ისევე როგორც იმ დროის ინდუსტრიის სხვა სფეროები, გადავიდა მხოლოდ გეგმის შესრულებაზე - მთავარი იყო რაოდენობა და

არა ხარისხი. შესაბამისად, დაიკარგა აკადემიური პატიოსნებაც და საზოგადოება მოიცვა ხარისხიანი განათლების მიმართ ნიჰილიზმმა.

აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე პასუხისმგებლობა აკისრია:

- მასწავლებლებსა და აკადემიურ პერსონალს, ვინაიდან ისინი არიან ცოდნის მატარებლები და მათი ვალდებულებაა ცოდნის გადაცემა
- მოსწავლეებსა და სტუდენტებს, რადგან მათი ვალდებულებაა საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბება. თანამედროვე საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრება შესაბამისი ცოდნის გარეშე წარმოუდგენელია.
- საზოგადოებას, რადგან მას ისტორიული მეხსიერება გააჩნია და ბევრად უფრო ინერციულია, ვიდრე ზედა ორი კატეგორია.

ღირებულებისა და ცოდნის განათლება

თ. მოსიაშვილი*[1], ე. შავერდაშვილი[2]

[1]სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი
[2]ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
tamar.mosiashvili@cdi.org.ge

ეროვნული სასწავლო გეგმა (ესგ) გამოყოფს 9 გამჭოლ კომპეტენციას. დოკუმენტი აღიარებს, რომ ამ კომპეტენციების ფლობა გადამწყვეტია თანამედროვე სამყაროში თვითრეალიზებასა და სათანადო ადგილის დამკვიდრებაში. გამჭოლი კომპეტენციები განმარტებულია როგორც ცოდნისა და უნარების ერთობლიობა, რომელსაც მოსწავლე გამოიმუშავებს და ინვითარებს სწავლების დროს. ესგ-ში არსებული გამჭოლი კომპეტენციების ანალიზი გვიჩვენებს, რომ კომპეტენციების განვითარება ცოდნისა და უნარების გარდა ძირეულად უკავშირდება ღირებულებებსაც. ამგვარ ღირებულებებად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, მედიანწიგნიერების, სამოქალაქო წიგნიერებისა და ეკოლოგიური წიგნიერების კომპეტენციები. ამას გარდა, ესგ-ში მოცემული გამჭოლი კომპეტენციები გულისხმობს შეძენილი ცოდნის გადატანას სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში.

ამ მოთხოვნებს პასუხობს ახალი ინსტრუმენტი ღირებულებისა და ცოდნისა განათლება (Values and Knowledge Education - VaKE). ინსტრუმენტი შემუშავდა ზალცბურგის უნივერსიტეტის პროფესორის ჟან-ლუკ პატრის მიერ (Jean Luc Patry). პროფესორი პატრი და მისი გუნდი წლებია მუშაობენ ამ ინსტრუმენტის განვითარებასა და საგანმანათლებლო სისტემაში დანერგვაზე, იკვლევენ შედეგებს. VaKE დიდაქტიკური მეთოდია, რომელიც კონსტრუქციულ საფუძველზე ცოდნისა და ღირებულებების დაკავშირების, გაერთიანების საშუალებას იძლევა.

VaKE თეორიულად ეფუძნება პიაჟეს ასიმილაციისა და აკომოდაციის, ასევე კოლბერგის მორალური განსჯის განვითარების ჩარჩოებს, ასევე ვიგოდსკის სოციალურ კონსტრუქტივიზმს, კონცეპტუალური ცვლილების თეორიასა და საჭიროებებზე დაფუძნებულ სწავლებას. მკვლევართა ჯგუფის აზრით VaKE შესაძლებელია ინტეგრირდეს ყველა საგნობრივ ჯგუფში.

როდესაც სწავლების მიზანი მოსწავლეებისთვის მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებაა ღირებულებებისა და ცოდნის განათლება შეიძლება ადვილად ინტეგრირდეს სასწავლო პროცესში. ინტეგრირების მიზნით სასწავლო პროცესში აუცილებელია დამატებითი საგანმანათლებ-ლო მასალის შეტანა. დამატებითი საგანმანათლებლო მასალა შეიძლება იყოს სხვადასხვა მულტიმედიური პროდუქტი, მხატვრული ან საინფორმაციო ტექსტები, რომელიც დაუკავშირდება, ერთი მხრივ,

ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ შედეგებს და, მეორე მხრივ, საზოგადოებაში არსებულ გამოწვევებსა და პრობლემებს.

რით განსხვავდება ეს მიდგომა სხვა მიდგომებისგან? ღირებულებებისა და ცოდნის განათლების (VaKE) პრაქტიკული პრინციპებია: ა) მორალური დილემის წარდგენა და დისკუსია, ბ)დილემის განხილვის მიზნით, ღირებულებებისა და ცოდნის განათლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ცოდ-ნას/ინფორმაციას. კოლბერგის ტრადიციის მიხედვით, ცოდნა/ინფორმაცია აიცილებელია, რომ მოხდეს დილემის კომპეტენტური განხილვა.

ლიტერატურული და საინფორმაციო ტექსტები, მულტიმედია რესურსები ასეთი დილემების იდეალური წყაროა. დილემის განხილვა ცოდნის ინტერესს წარმოშობს და მონაწილეებს უბიძგებს ისწავლონ საჭიროების გამო. ამგვარი სწავლების შედეგებზე დაყრდნობით, მკვლევრები თვლიან, რომ მორალური დილემის განხილვა მიმდინარეობს მაღალ დონეზე, განხილვის მონაწილეები იღებენ ინფორმირებულ მორალურ გადაწყვე-ტილებას. ღირებულებისა და ცოდნის განათლების მიდგომაში, საკითხის განხილვისა და დისკუსიის დროს, მნიშვნელოვანია როლური თამაშები. ამ დროს შესაძლებელია როლის ცვლილება. მასწავლებელი მოსწავლეს სთხოვს იმ ადამიანის როლის შესრულებას, რომელსაც მისგან განსხვავებული შეხედულება აქვს. კვლევების მიხედვით VaKE ხელს უწყობს მორალური განსჯის კომპეტენციის, მორალური სენსიტიურობის, სხვათა პოზიციების გაგებას და სხვ.

ღირებულებისა და ცოდნის განათლების გამოყენება სხვადასხვა კონტექსტში მნიშვნელოვანია. ამ ეტაპზე საქართველოში ამ მიდგომის გამოყენება არ მომხდარა. ღირებულებისა და ცოდნის განათლების დანერგვისთვის მნიშვნელოვანია მოქმედ და მომავალ მასწავლებელთა სწავლება, რომლის ერთ-ერთი შედეგი იქნება, იმ მულტიმედია რესურსების, ლიტერატურული და საინფორმაციო ტექსტების ბანკის შექმნა, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმასთან კავშირის გზით შეძლებენ მოსწავლეები ჩართონ საკითხის მრავალმხრივი შესწავლის პროცესში. ღირებულებისა და ცოდნის განათლების საქართველოს სამუშაო ჯგუფი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს პროფესორ პატრისთან, თვლის, რომ სწავლების პროცესში ამ მიდგომის ინტეგრირება შესაძლებელს გახდის სხვადასხვა პროფესიის ადამიანების (ხელოსნების, ექიმების, ინჟინრების და სხვ.) სასწავლო პროცესში ჩართვას, ასევე გარემოსდაცვითი საკითხების (კლიმატის ცვლილება, კონსუმერიზმი და სხვ.) და მიმდინარე გლობალური, რეგიონული და ქვეყნის პოლიტიკის (მათ შორის ყალბი ინფორმაციის, ახალი ამბების ანალიზი და შეფასება) ინტეგრირებას. ამგვარად, კონცეფციამ შეიძლება გააძლიეროს ინტეგრირებული სწავლება.

თეორიის პრაქტიკაში გადატანა განათლების ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. ამ საკითხის მოგვარება შესაძლებელია სიბრძნის კონცეფციის

მიხედვით. სიბრძნეს სტერნბერგი (Sternberg, 2003) ამგვარად განმარტავს: ა) საქმიანობის განხილვა, შეფასება; ბ) შემოქმედებით და ანალიტიკურ ინტელექტს შორის ბალანსი; გ) კულტურული კონტექსტის (ან სიტუაციის) ბალანსი. სწორედ ამ განმარტების სამ ასპექტზე უნდა იყოს დაფუძნებული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ღირებულებისა და ცოდნის განათლების მოდელის სწავლებასა და მის ინტეგრირებას საგაკვეთილო პროცესში. სწორედ სიბრძნის კონცეფციაზეა დაფუძნებული ეს მიდგომა, რომელიც 9 საფეხურს მოიცავს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეროვნული სასწავლო გეგმა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 11 ოქტომბრის ბრძანება №224/ნ - ვებგვერდი, 12. 10. 2012წ.

2. Improving Professional Practice through Practice-Based Research: VaKE (Values and Knowledge Education) in University-Based Teacher Education, Alfred Weinberger1 & Jean-Luc Patry 2 & Sieglinde Weyringer2Sternberg, R. J. (1990).
3. Understanding wisdom. In R. J. Sternberg (Ed.), Wisdom, its nature, origins, and development (pp. 3-9). Cambridge, UK: Cambridge University Press
4. The handbook of educational theories (565-579), Patry, J. -L., Weinberger, A., Weyringer, S., & Nussbaumer, M. (2013). Combining values and knowledge education.

ინტერკულტურული განათლება სასკოლო სახელმძღვანელოებში

დ. მალაზონია*, ნ. ჭიაბრიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
davit_malazonia@iliauni.edu.ge

მკვლევართა მოსაზრებით [1-3] ინტერკულტურული კომპეტენციის საფუძველს სამი კომპონენტის - ინტერკულტურული ცოდნა, ინტერკულტურული უნარ-ჩვევები და ინტერკულტურული დამოკიდებულება – ერთობლიობა ქმნის.

ინტერკულტურული განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი სკოლის სახელმძღვანელოა, რადგან ქართულ (და არა მხოლოდ) რეალობაში ხშირად სწორედ სასკოლო სახელმძღვანელოა ის ერთადერთი ხელმისაწვდომი „პროდუქტი“, რომელსაც სწავლება/სწავლის პროცესის მონაწილე სამივე აგენტი – მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი – იყენებს.

კვლევის მიზნად დავისახეთ სკოლის სახელმძღვანელოებში ინტერკულტურული ასპექტების შესწავლა, იმის დადგენა, რამდენად არის წარმოდგენილი სასწავლო მასალებში ინტერკულტურული ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ხელშემწყობი/ ხელშემშლელი ტექსტები, თვალსაჩინოებები, სავარჯიშოები, აქტივობები და ა. შ. სასწავლო მასალის გაანალიზებისას ყურადღებას ვაქცევდით თემის სათაურს, ავტორისეულ ტექსტს, წყაროს, თვალსაჩინოებას (რუკა, სქემა, ილუსტრაცია, ფოტო, ნახატი, და სხვ.), სავარჯიშოს/კითხვას და დავალებას/პროექტს.

სახელმძღვანელოს, როგორც კურიკულუმის უმნიშვნელოვანესი კომპონენტის ანალიზისას გავითვალისწინეთ: (ა) კურიკულუმში კულტურის შინაარსის ინტეგრაციის ბენკსისეული სქემა, რომელიც ოთხ დონეს ითვალისწინებს: მონაწილეობითი, დამატებითი, ტრანსფორმაციული და სოციალური ქმედება [1]; (ბ) კულტურული მრავალფეროვნების კუშნერისეული მოდელი, რომელიც გულისხმობს შემდეგ კომპონენტებს: რელიგია, რასა, ასაკი/თაობა, სოციოეკონომიკური სტატუსი, სექსუალური ორიენტაცია, სქესი, გეოგრაფიული გარემო, განათლება, ეთნიკურობა და სხვა [3].

სახელმძღვანელოებში არსებული სასწავლო მასალა გაანალიზდა შემდეგი მიმართულებით: 1. როგორ არის წარმოდგენილი კულტურული მრავალფეროვნების კომპონენტები; 2. როგორ არის ასახული ინტერკულტურული კომპეტენციის ეს მნიშვნელოვანი კომპონენტები ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების ჭრილში.

კვლევისას გამოიკვეთა სასწავლო მასალა: რომელიც ხელს უწყობს ან აფერხებს (ა) კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ცოდნის შეძენასა და გაფართოებას, (ბ) კულტურულად მრავალფეროვან გარემოში მშვიდობიანი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების (მაგ.: ჯანსაღი კომუნიკაციის უნარი, მრავალფეროვან გარემოში მშვიდობიანი თანაარსებობა, კონფლიქტების თავიდან აცილება და ა. შ.) შეძენასა და განვითარებას და (გ) კულტურულად მრავალფეროვანი გარემოსადმი ტოლერანტული დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას.

კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოს მასწავლებლების უმრავლესობა (მათთვის სახელმძღვანელო სწავლების თითქმის უალტერნატივო რესურს წარმოადგენს), კურიკულუმში კულტურის შინაარსის ინტეგრაციის ბენკსისეულ სქემით შემოთავაზებული ოთხი დონიდან აღწევს პირველს - მონაწილეობითს (რომელიც ფოკუსირებულია გმირებზე, დღესასწაულებზე და ცალკეულ კულტურულ ელემენტებზე) და, ნაწილობრივ, მეორე - დამატებით - დონეს (კვალიფიციური პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში არ კმაყოფილდებიან მხოლოდ სახელმძღვანელოთი და მოსწავლეებთან მუშაობისას იყენებენ განსხვავებული შეხედულებების, კონცეფციების შემცველ მასალებს). რაც შეეხება ბენკსის მოდელის მესამე (ტრანსფორმაციული) და მეოთხე (სოციალური ქმედება) დონეებს, მათი მიღწევა განათლების რეფორმის წარმატებასა და პედაგოგთა კვალიფიკაციის შემდგომი გაუმჯობესების პერსპექტივას უკავშირდება.

ასეთი პრაქტიკის პირობებში კიდევ უფრო იზრდება სასკოლო სახელმძღვანელოების მნიშვნელობა ინტერკულტურული განათლების პროცესში. მათ მიმართ კი გვაქვს კონკრეტული შენიშვნები:

ქართული ენის სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი მწირი მასალა პედაგოგს საშუალებას არ აძლევს ინტერკულტურული ასპექტების გათვალისწინებით დაგეგმოს და ჩაატაროს გაკვეთილები. სასურველია ავტორებმა სახელმძღვანელოებში შეიტანონ ისეთი თემები, რომლებიც ეროვნული ღირებულებების წარმოჩენასთან ერთად, ინტერკულტურული ასპექტების გაცნობა-შესწავლასაც შეუწყობს ხელს.

ბუნების სახელმძღვანელოებში სუსტად არის წარმოდგენილი საქართველოს ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება. სასწავლო მასალა ნაკლებად შეიცავს ინტერკულტურული განათლების ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა: რასა, ასაკი/თაობა, გეოგრაფიული გარემო, განათლება, ეთნიკურობა. ძნელად თუ მოიპოვება სავარჯიშო, კითხვა, დავალება ან პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობდა კულტურულად მრავალფეროვან გარემოში მშვიდობიანი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

ინტერკულტურული განათლების თვალსაზრისით უფრო მრავალფეროვანი მასალაა მოცემული საზოგადოებრივი მეცნიერებების სახელმძღვანელოებში. მოსწავლეს მიეწოდება მეტ-ნაკლებად სრული ინფორმაცია საქართველოში მცხოვრებთა კულტურულ და რელიგიურ მრავალფეროვნებაზე, მათ ტრადიციებზე, რწმენასა და კულტურას შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებზე. შესაბამისი მაგალითების მოხმობით აღსაზრდელებს უყალიბდებათ სწორი დამოკიდებულება ადამიანთა თანასწორობისა თუ მათი დისკრიმინაციის შემთხვევების მიმართ.

უცხო ენის სწავლება თავისთავად უნდა ემსახურებოდეს მოსწავლეების მიერ კულტურული მრავალფეროვნების მიღებას და გაცნობიერებას. ინტერკულტურულ განათლებაზე გათვლილი და მისი ხელშემწყობი კონკრეტული მაგალითები კი, წარმოდგენილ სახელმძღვანელოებში მწირია და, ძირითადად, ცოდნის შეძენაზეა ორიენტირებული. სახელმძღვანელოები ინტერკულტურული განათლების უფრო ფართო სპექტრს (ცოდნის, უნარ–ჩვევების, დამოკიდებულებების შეძენა/ჩამოყალიბება) უნდა მოიცავდეს. სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით შეუწყობს ხელს უცხო ენის ცოდნა ჯანსაღ კომუნიკაციას და მშვიდობიან თანაარსებობას, განსხვავებულთა შორის ტოლერანტული დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

საერთო ჯამში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სახელმძღვანელოების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ინტერკულტურული განათლების მიმართულებით მოსწავლეებში ჩამოსაყალიბებელი მნიშვნელოვანი კომპონენტებიდან - ცოდნა, უნარ-ჩვევები, დამოკიდებულებები, უფრო სრულად არის წარმოდგენილი ცოდნის ხელშემწყობი სასწავლო მასალები, თუმცა, სასურველი იქნება, ამ მიმართულებით სახელმძღვანელოების შემდგომი სრულყოფა. რაც შეეხება უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების ხელშემწყობ სასწავლო მასალებსა და აქტივობებს, აქ ერთმნიშვნელოვნად სასურველია მასალის გამრავალფეროვნება და გამდიდრება.

ლიტერატურა:

1. Banks J. A. (2014). An introduction to Multicultural Education, 5th ed., Pearson.
2. Bennett C. I. (2004). Comprehensive Multicultural Education, Theory and Practice, 7th ed. Pearson.
3. Cushner K,. McClelland A,. Safford P,. (2008). Human Diversity in Education: An Integrative Approach, 6th ed,. McGraw-Hill.
4. Dolby N. (2012). Rethinking Multicultural Education for the Next Generation, 1st ed,. Routledge.
5. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის გრიფირება მინიჭებული სახელმძღვანელოები http://www.mes.gov.ge/content.php?id=4717&lang=geo.

მედიაძალადობის გავლენა ბავშვებზე საქართველოში

მ. საჯაია[1], ნ. დიხამინჯია*[2]

[1]ინტერნეტგაზეთი „mastsavlebeli.ge"
[2]ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
nana.dikhaminjia@iliauni.edu.ge

ბავშვებზე მედიაძალადობის სახიფათო გავლენას რამდენიმე ათეული წელია, დასავლური ქვეყნების ფსიქოლოგები, განათლებისა და აღზრდის სპეციალისტები იკვლევენ [1], [2]. მსგავსი კვლევები განვითარებულ ქვეყნებში ჯერ კიდევ ტელევიზიის პირველად ფართო მოხმარების დროს დაიწყო და ფართოვდება როგორც სტანდარტული მედიის, ისე კიბერსივრცის განვითარების კვალდაკვალ. ამ ქვეყნებში მრავალი კერძო, სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს ერთი მხრივ მედიასტანდარტების განვითარებაზე, რაც ზღუდავს მედიასივრცეს და აკონტროლებს ბავშვების დაშვებას ძალადობრივ კადრებზე, ხოლო მეორე მხრივ, მშობელთა და მასწავლებელთა მედიაწიგნიერების უნარების გაღრმავებაზე, რაც ამცირებს ბავშვებზე მედიაძალადობის მოქმედების არეებს.

მედიაძალადობის საზიანო მოქმედება ბავშვებზე დიდი ხანია აღიარებულია მკვლევართა მიერ და გამოვლენილია ორი ტიპის გავლენა [3]: 1) მოკლევადიანი, როცა მოზარდის ქცევა საგრძნობლად იცვლება სტრესული სცენების ყურების ან ძალადობრივი სცენების შემცველი კომპიუტერული თამაშის შემდეგ, მცირე ხნით ხდება აგრესიული, მოუთმენელი, და უსუსტდება საკუთარი ქცევის მართვის მექანიზმები; 2) გრძელვადიანი, როცა მედიაძალადობის კვალი მაშინვე არ ჩანს, მაგრამ ხშირი ყურებისას იწვევს მოზარდის ქცევის საგრძნობ გაუარესებას, შიშებს, შფოთვას და აგრესიას, რაც ზრდასრულობაშიც ვლინდება. მოცემული მოხსენების ავტორთა მიზანია, გამოიკვლიონ, თუ რა სიღრმით განიცდიან საქართველოში სკოლამდელი და დაწყებითი კლასის ბავშვები მედიაძალადობის გავლენას, როგორ ხდება ბავშვების დაცვა მისი მოქმედებისგან მშობლების მიერ და რამდენად ითვალისწინებენ ამ კუთხით ბავშვების ინტერესებს მედიის მწარმოებლები საქართველოში.

კვლევა ხორციელდება მშობელთა ჯგუფებში ჩატარებული ინტერნეტ-გამოკითხვით და ერთი მხრივ, მოიცავს როგორც მედიაძალადობის გავრცელებული წყაროების დადგენას და ამ წყაროებზე ბავშვების უკონტროლო დაშვების, ხოლო მეორე მხრივ, მშობლების მედიაწიგნიერების დონისა და მათ მიერ შვილების მედიაძალადობისგან დაცვის ინსტრუმენტების გამოყენების შეფასებას. საქართველოში ძალადობრივი შინაარსი ვლინდება ბავშვებისთვის საინტერესო სხვადასხვა

მედიაწყაროებში, როგორიცაა სატელევიზიო გადაცემები, იუთუბის არხები, ვიდეო-ბლოგები, კომპიუტერული თამაშები, სოციალური ქსელები, ისევე როგორც პოპულარული ქართული და უცხოური ფილმები და სერიალები. როგორც ირკვევა, ყველაზე დიდი წყარო საქართველოს ბევრ ოჯახში არის ტელევიზორი, რომელიც ხშირად დგას საერთო მოხმარების, მაგალითად სასადილო ოთახში და დღეში რამდენიმე საათი ჩართულია. მაშინაც კი, თუკი მცირეწლოვანი ბავშვი პირდაპირ არ უყურებს ტელევიზორს და თავისთვის თამაშობს, მას სხვადასხვა გადაცემებიდან შეიძლება ფონად ესმოდეს გინება, დაცინვა, ყვირილი.

მიუხედავად იმისა, რომ რიგ ქართულ და უცხოურ ფილმებსა და კომპიუტერულ თამაშებს აწერია ასაკობრივი შეზღუდვის რეკომენდაცია, მშობლები ხშირად არ ითვალისწინებენ ამას. მაგალითად, ერთ-ერთი პოპულარული ქართული სერიალი, რომელსაც აწერია, რომ არაა რეკონდებული 12 წლამდე ბავშვებისთვის, ნანახი აქვს ქართველი უმცროსკლასელი ბავშვების უმეტესობას, ხოლო მანქანების გატაცების აგრესიული ვიდეოთამაშით, რომელიც მხოლოდ ზრდასრული ადამიანებისთვისაა რეკომენდებული, ზოგი სკოლამდელი ბავშვიც ერთობა. დასავლურ ქვეყნებთან შედარებით, ასევე პრობლემურია უმცროსკლასელი ბავშვების ნაკლებად შეზღუდული წვდომა ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებზე, ვინაიდან საქართველოში თითქმის არ არის გავრცელებული ინტერნეტის საბავშვო ფილტრები, სმარტფონი კი ბევრ უმცროსკლასელს აქვს და სოციალურ ქსელშიცაა დარეგისტრირებული, მიუხედავად ოფიციალური, 13 წლამდე შეზღუდვისა.

კვლევის შედეგად ჩანს, რომ საქართველოში მცხოვრები ბავშვების მედიაძალადობისგან დასაცავად, პირველ რიგში, აუცილებელია მშობლების მედიაწიგნიერების დონის ამაღლება, შემდეგ კი მედიაშინაარსის მრავალდონიანი შეფასებისა და ბავშვებისთვის მავნე შიგთავსის არიდების მკაცრი მექანიზმების შემუშავება.

ლიტერატურა:

1. Anderson CA, Berkowitz L, Donnerstein E, Huesmann LR, Johnson JD, Linz D, Malamuth NM, Wartella E; The Influence of Media Violence on Youth, Psych. Sci Publ. Int. 2003 Dec; 4(3):81-110;
2. Robinson TN, Wilde ML, Navracruz LC, Haydel KF, Varady A,. Effects of reducing children's television and video game use on aggressive behavior: a randomized controlled trial. Arch. Pediatr. Adolesc. Med. 2001 Jan;155(1):17-23.
3. Bushman BJ, Huesmann LR,. Short-term and long-term effects of violent media on aggression in children and adults, Arch. Pediatr. Adolesc. Med. 2006 Apr, 160(4):348-52.

იდენტობის ტრანსფორმაცია ქართველი ემიგრანტების მეორე თაობაში (გერმანიის მაგალითი)

მ. არავიაშვილი

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარებს ეროვნული ცენტრი
maraviashvil@tpdc.ge

იდენტობის პრობლემები სოციალურ მეცნიერებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მრავალწახნაგოვანი საკვლევი საკითხებია. ამ სფეროს მიმართ ინტერესი არ ქრება და ამ მხრივ კვლევითი მიმართულებებიც უფრო და უფრო მრავალფეროვანი ხდება. იდენტობა სტატიკური მოცემულობა არაა, ის დროსა და სივრცეში, სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით, ცვალებადი ფენომენია. იდენტობის განცდა თითოეულ ინდივიდს აქვს, რომელიც მათ სხვა ადამიანებისგან განასხვავებს; ადამიანი სოციალიზაციის პროცესში იძენს იდენტობას და სოციალური ინტერაქციისას კი კონკრეტული ჯგუფის წევრად ყალიბდება (ქ. კალჰუნი, დ. ლაითი და ს. კელერი, „სოციოლოგია“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011 წელი). იდენტობის კვლევები ძალიან საინტერესო და აქტუალურ ხასიათს იძენს, როდესაც საქმე ეხება მიგრაციასთან და მის თანმდევ სოციალურ და კულტურულ პროცესებთან დაკავშირებულ პრობლემებს. ამის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ემიგრანტების შემთხვევაში ღირებულებათა სისტემა ცვლილებებს განიცდის და შესაბამისად იდენტობის ტრანსფორმაციაც უფრო დინამიკურად მიმდინარეობს. მიგრაციის პროცესში იდენტობა ტრანსფორმირდება იმ სოციალური ინტერაქციისა და ინსტიტუტების ზეგავლენით, რომლებიც ინდივიდს ადგილზე ხვდება. მიგრაციის დროს იდენტობის ტრანსფორმაციის შესწავლა თანამედროვე ეპოქაში ძალიან აქტუალური საკითხია ქართული საზოგადოების კონტექსტშიც, რადგან ქართველ ემიგრანტთა რიცხვი საკმაოდ გაიზარდა ბოლო ათწლეულების განმავლობაში. ემიგრანტი ქართველების ნაწილი საერთოდ აღარ აპირებს საქართველოში საცხოვრებლად დაბრუნებას, მაშინ როცა მასპინძელ ქვეყანაში მათთვის სოციალური ინტერაქციის ფორმები და პირები შეცვლილნი არიან, მნიშვნელოვანია იმის შესწავლა მათ ქმედებას რამდენად განაპირობებს ქართული კულტურული ნორმები ან რამდენად მოექცნენ ისინი უცხო კულტურული გარემოს გავლენის ქვეშ; როგორ ითვისებენ ახალ ღირებულებებსა და კულტურულ ნორმებს, რა სირთულეებს აწყდებიან, რა როლს ასრულებს ქართული ენა მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში, იცის თუ არა ემიგრანტი ქართველების მეორე თაობამ ქართული, რამდენად უწყობს ხელს ენის ცოდნა იდენტობის შენარჩუნებას.

ლიტერატურა:

1. Alba, R. and Nee, V. (2005) Remaking the American Mainstream: Assimilation and Contemporary Immigration, Harvard University Press
2. Barbera, M. C. (2015) Identity and Migration in Europe: Multidisciplinary Perspectives, Springer International Publishing Switzerland
3. Brah, A. (2006) Thinking through the Concept of Diaspora, International Journal for Cultural Studies, N9
4. Bughra, D. (2004) Migration, Distress and Cultural Identity, British Medical Bulletin (69)
5. Clifford, J. (1994) Diasporas, Center for Cultural Studies University of California, Santa Cruz
6. Colleran, K. Gurak, D. and Kritz, M. (1984) Migration Acculturation and Family Processes. HRC Research Bulletin 7
7. Eller, J. D. (2009). Cultural Anthropology Global forces Local Lives. New York, USA: Routledge.
8. Erikson, E. H. (1968). Identity, youth and crisis. New York: W. W. Norton Company.
9. Feliciano, N. (2005) Unequal Origins: Immigrant Selection and the Education of the Second Generation
10. Gamsakhurdia, V. (2016) “Study of Ethnic Identity Aspects and Structure in the Modern Context”, PhD thesis
11. Goffman, E. (1959). The presentation of self in everyday life. Anchor. 7
12. Haan, M. d. (2011). The construction of ethnic boundaries in classroom interaction through social space. Culture & Psychology (17)
13. Hall, S. (1990) Cultural Identity and Diaspora, London and New York: Routledge Hammack, P. L. (2008, May 9). Narrative and Cultural Psychology of Identity. Personality and Social Psychology Review
14. Jenkins, R. (2008). Rethinking Ethnicity. London: SAGE Publications Ltd.
15. Jones, S. (2002). The Archaeology of Ethnicity: Constructing Identities in the Past and. London And New York: Routledge.
16. Kasnitz, P. Mollenkopf, J. H. Waters, M. C. and Holdaway. J (2010) Inheriting the City: The Children of Immigrants Come of Age, The Russel Sage Foundation
17. Nibbs, F. G. and Brettell, C. B. (2016) Identity and the Second Generation: How Children of Immigrants Find Their Space, Vanderbilt University Press

18. Oishi, N. (2005) Women in Motion: Globalization, State Policies, and Labor Migration in Asia.
19. Stanford University Press Orellana, M. F. (2016) Immigrant Children in Transcultural Spaces: Language, Learning, and Love, New York: Routledge.
20. Pessar, P. R and Sarah J. Mahler, (2001) Gender and Transnational Migration
21. Pirtskhalava, E. (forthcoming 2016) Being Here and There: Muslim Meskhetians' Identity and Belonging, Formation and Reconstruction
22. Pirtskhalava, E. (forthcoming 2016) Perceptions of Georgian First-Generation Immigrants in Portugal: Cultural Similarities and Differences
23. Portes, A. and Rambaut, R. G. (2001) Legacies: The Story of the Immigrant Second Generation, University of California Press
24. Rushdie, S. (1981-1991) Imaginary Homelands, Penguin Books
25. Said, E. W. (1984) The Mind of Winter: Reflections on Life in Exile, Harper's Magazine
26. Sakka, Despina, Maria Dikaiou, and Grigoris Kiosseoglou (1999) "Return Migration: Changing
27. Salomone, R. C (2010) True American: Language, Identity, and the Education of Immigrant Children 1st Edition
28. Wetherell, M. (2009). Identity in the XXI century: New trends in changing time. New York: Pallgrave Mcmillan.
29. Zhou, M and Bankston, C. L. (2016) The Rise of the New Second Generation (Immigration and Society) 1st Edition
30. Zhou, M. (2009) Contemporary Chinese America: Imigration, Etnicity, and Community Transformation, Temple University Press

გზა წარსულიდან მომავლისაკენ

ი. ხუნდაძე*, ე. ლომაია

სსიპ თბილისის N162 საჯარო სკოლა
skola162@gmail.com

სკოლის მოსწავლეების 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებით აღჭურვისათვის მნიშვნელოვანია მათი დაინტერესება იმ ღირებულებებითა და ფასეულობებით, რომლებიც შექმნა კაცობრიობამ საუკუნეების განმავლობაში. ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ პროექტებით სწავლება მეტად ეფექტურია მომავალი თაობის განათლებისა და აღზრდის მიმართულებით.

მიგვაჩნია, რომ აუცილებელია მოსწავლეთა საერთო ინტერესის სფეროს გამოვლენა და პროექტის თემის ამის მიხედვით შერჩევა.

ამიტომაც დაისვა მაპროვოცირებელი კითხვა: რას გვეუბნება წარსული მომავლის შესახებ? ეს არის ზოგადი კითხვა, რომელმაც გამოიწვია უამრავი იდეისა და მოსაზრების თავმოყრა. დისკუსია იმგვარად წარიმართა, რომ საშუალება მოგვეცა დაგვესვა თემატური კითხვები (რატომ წერ? რა მოხდებოდა, არაფერი რომ არ გეწერა საერთოდ? რატომ გაუჩნდათ ადამიანებს წერის მოთხოვნილება? რა შეიძლებოდა გამოეყენებინათ საწერ საშუალებად? დღეს რას ვიყენებთ საწერ საშუალებებად? რისგან მზადდება ესა თუ ის საწერი საშუალება?).

ამ კითხვაზე გაცემულმა სხვადასხვაგვარმა პასუხმა მოსწავლეებთან ერთად მიგვიყვანა იმ აზრამდე, რომ გვეკვლია, როგორ გადმოიცემოდა აზრი, როგორ მოაღწია საუკუნეების მიღმა დარჩენილმა იდეებმა ჩვენამდე, რას წერდნენ უძველესი ადამიანები, რაზე წერდნენ და ჩვენ რას ვწერთ, ან რაზე ვწერთ? რა მოხდებოდა, საერთოდ რომ არ გვეწერა... რა გზა გამოიარა კაცობრიობამ, ვიდრე ქაღალდამდე მივიდოდა და რა გზას ადგას ქაღალდის ტექნოლოგიის აღმოჩენის შემდეგ? რისგან მზადდება ქაღალდი და ამით საფრთხე ექმნება თუ არა ეკოლოგიას? რა უნდა გააკეთოს თანამედროვე ადამიანმა, რომ დაიცვას პლანეტა ბუნებრივი რესურსების ამოწურვისაგან? რა არის 3R ინიციატივა და რა როლი ენიჭება ამ ინიციატივას ზემოთ ნახსენები პრობლემის გადაჭრის საქმეში? რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, პროექტი განხორციელდა მესამე კლასის ბაზაზე.

წარმოგიდგენთ პროექტის მოკლე შეფასებას:

სხვადასხვა საინფორმაციო ტექსტის დამუშავება ვიზუალური სქემებისა და გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენებით; პლაკატებზე, სლოგანებსა და ბუკლეტებზე მუშაობა; ქაღალდის დაძველების ტექნიკის დამუშავება; ქართული ასომთავრული დამწერლობის შესწავლა და დაძველებულ ქაღალდზე კალიგრაფიული ნიმუშების შექმნა; თანამედროვე მწერლების

ნაწარმოებების გაცნობა და წაკითხულის მიხედვით ილუსტრაციების შექმნა; ნახატებისთვის მეორადი ქაღალდისგან ჩარჩოებისა და „პასპარტუების“ დამზადება; მაკულატურის შეგროვება, ჩაბარება, აღებული ფულით კლასისთვის საჭირო ნივთების შეძენა; მეორადი მოხმარების მუყაოსა და ქაღალდისაგან სხვადასხვა ლამაზი ნივთის დამზადება; ვიზიტი ხელნაწერთა მუზეუმში მოსწავლეთა მიერ თეორიულ დონეზე შესწავლილი პაპირუსის, პალიმფსესტის, უძველესი ქართული ხელნაწერების დასათვალიერებლად; მოსწავლეთა ილუსტრაციებისა და ხელნაწერების გამოფენა სკოლის საგამოფენო სივრცეში; მათემატიკური გამოთვლების წარმოება ქაღალდის ზომებთან დაკავშირებით, ქაღალდის ზომის გამოსათვლელი ფორმულის დადგენა; ორიგინალურ თხზულებებზე მუშაობა (სამწერლო სახელოსნო); დიდი და მინიატურული წიგნების შექმნა მშობლებისა და მასწავლებლის დახმარებით; ექსკურსია ბოლნისის სიონში უძველესი ქართული წარწერის გასაცნობად; ექსკურსია ტანძიაში სულხან-საბა ორბელიანის, მწერლისა და პირველი ლექსიკოგრაფის და მისი ძმების, კალიგრაფების, ნიკოლოზ ტფილელისა და ზოსიმე ზაალყოფილის სამშობლოსა და ლიტერატურული მუზეუმის მოსანახულებლად; მოსწავლეთა კონფერენციისათვის ჯგუფებად განაწილება და შესრულებული სამუშაოების დახარისხება; კონფერენციისათვის თემების არჩევა; საპრეზენტაციოდ მომზადება; კონფერენციის გამართვა საჯარო ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში; ამავდროულად, მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა; კონფერენციაზე იმ ავტორთა მოწვევა, რომელთა ნაწარმოებების მიხედვითაც შეიქმნა ილუსტრაციები, ინტერვიუ მოწვეულ სტუმრებთან. საკვლევი თემის ინტეგრირებულად სწავლებამ (მათემატიკა, ქართული, ბუნებისმეტყველება, ხელოვნება) განაპირობა ის, რომ სასწავლო პროცესი თითოეულ გაკვეთილზე ერთი თემის გარშემო მიმდინარეობდა, მოსწავლეებს არ ჰქონდათ განცდა რომ სხვადასხვა, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ საგნებს სწავლობდნენ, თითოეული მათგანი გრძნობდა თავის უნიკალურობასა და მნიშვნელობას პროექტის მიმდინარეობაში; საკომუნიკაციო უნარები გაუმჯობესდა, მოსწავლეებმა დაინახეს ერთმანეთის შესაძლებლობები სხვადასხვა კუთხით.

ცალკე აღსანიშნავია, რამდენად მნიშვნელოვანია კოლეგათა თანამშრომლობა და სამუშაო შეხვედრები თითოეული აქტივობის დასაგეგმად. ეს იყო საინტერესო შემოქმედებითი პროცესი ორიენტირებული საერთო წამოწყების წარმატებით წარმართვისათვის.

ლიტერატურა:

1. გონაშვილი რ,. პროექტებით სწავლება და პროექტების სახეობები; ჟურნალი „მასწავლებელი“; 2014, 11, 11.
2. მარზანო ჯ,. ეფექტური სწავლება სკოლაში; თბილისი; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი; 2009

სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციების განვითარება სწავლების დაწყებით საფეხურზე

ლ. მანგოშვილი

სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული საერო სკოლა „ბინული''
lmangoshvili@hotmail.com

ზოგადი განათლების ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციების ნუსხაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად განისაზღვრა სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციების განვითარება.

პრობლემის აღწერა: მასწავლებელთა გარკვეული ჯგუფის შეხედულებით სირთულეს წარმოადგენს მეოთხე კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოში (როდონაია და ავტორთა ჯგუფი) მოცემული ბავშვთა უფლებების კონვენციის სწავლება.

პრობლემის გადაჭრის გზები: ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტთან შესაბამისობითა და აქტიური სწავლების პრინციპებზე დაყრდნობით, მინი-პროექტის განხორციელება (8-10 დღე).

მიზნები და ამოცანები: მოსწავლეთა დამოუკიდებელი, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობის, ჯგუფური მუშაობის, კომუნიკაციის, კვლევის, დისკუსიის, პრეზენტაციის უნარების განვითარება. პიროვნული მახასიათებლები; თავაზიანობა, კომპრომისი, ურთიერთპატივისცემა, კონფლიქტის მოგვარება ცივილიზებული გზით, საზოგადოებაში მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების გაანალიზება.

განხორციელებული აქტივობები:

I გაკვეთილი - თამაში: „სურვილები და საჭიროებები“ (საკლასო ოთახის კედლებზე განთავსებულია სურათები. კლასი იყოფა ჯგუფებად. თითოეული ჯგუფი ახდენს სურათების კატეგორიზაციას სურვილების და საჭიროებების მიხედვით, ათავსებს შესაბამის ყუთებში, ხოლო პრეზენტაციის დროს-კედელზე)

II გაკვეთილი - ადამიანის უფლებები და საჭიროებები. (მასწავლებელი წარადგენს 5 წუთიან პრეზენტაციას, რომელშიც დააკავშირებს ადამიანის უფლებებს და საჭიროებებს. შემდგომ მოსწავლეებს ეძლევათ სამუშაო ფურცლები, გამარტივებული ჩამონათვალით და საჭიროებებს შეუსაბამებენ უფლებებს. სამუშაო სრულდება ჯგუფებში. ბოლოს მათ უნდა შეადგინონ საერთო ჩამონათვალი და წარადგინონ ფორმატზე დატანილი.

III გაკვეთილი - ბავშვთა უფლებების კონვენცია. (სახელმძღვანელოში მოცემული საინფორმაციო ტექსტის გაცნობა)

IV გაკვეთილი - როლური თამაში: „პრობლემური სიტუაციები'' (სახელმძ-ღვანელოში მოცემული მასალის მიხედვით მოსწავლეები გაინაწილებენ როლებს და თითოეულ სიტუაციას შეუსაბამებენ კონვენციის მუხლს.)

V გაკვეთილი - როლური თამაში: „პატარა მკვლევრები“ (მოსწავლეები ჯგუფებად იყოფიან და იკვლევენ, რა იციან მეხუთე კლასის მოსწავლეებმა ბავშვთა უფლებების შესახებ. ადგენენ მცირე მოცულობის კითხვარს (3 კითხვა) და იღებენ ინტერვიუს. მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის კვლევის სტანდარტულ ინსტრუქციებს რესპონდენტებთან ინტერვიუს აღებისა და მონაცემთა შეგროვების შესახებ).

VI გაკვეთილი - გამოკითხვის შედეგების გაცნობა. შეძენილი ცოდნის შეჯამება. დისკუსია. კვლევის შედეგების მნიშვნელოვანი დასკვნების ფორმატზე გადატანა და საკლასო ოთახის კედლებზე განთავსება.

მიღწეული შედეგი: პროექტი, დაბრკოლებების გარეშე, წარმატებით განხორციელდა დასახული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად.

დასკვნა: იმისათვის, რომ მოსწავლეები საზოგადოების სრულფასოვან, პოზიტიური დამოკიდებულების მქონე მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ, ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანის უფლება-მოვალეობათა ღირებულე-ბების შესახებ ცოდნის გადაცემა, რომელიც არასდროს განიხილება განვლილ თემად, არამედ მუდმივად მოხდება შეძენილი ცოდნის ტრანსფერი ყოველდღიურობაში.

ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა. პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციები
2. http://ncp. ge/ge/curriculum/general-part/general-part/chapter-viii-cross-cultural-competencies
3. ბავშვთა უფლებების კონვენცია https://matsne.gov. ge/ka/document/ view/1399901
4. გოლობი რ. კრაფი პ. ვეიდენგერი ვ. ვიზრდებით დემოკრატიულ საზოგადოებაში. თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. 2013. წიგნი II, 176 გვ.
5. როდონაია ვ. მირიანაშვილი მ. ვაშაკიძე ლ. ქართული ენა, IV კლასი, თბილისი: საქართველოს მაცნე. გვ. 151-153
6. გახელაძე გ. სამოქალაქო წიგნიერება. თბილისი: მწიგნობარი, 164 გვ.

კითხვის სწავლება ენობრივი პრაქტიკის მეთოდით

გ. ჭაუჭიძე

სსიპ ქ. მარნეულის მე-2 საჯარო სკოლა
aiazma@yahoo. com

კითხვისა და წერის სწავლება საკვანძო სფეროა თანამედროვე სკოლაში და მას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. საკმარისია ერთის აღნიშვნა: სწორედ ამ კომპეტენციაზეა დამოკიდებული სწავლის შედეგი. კითხვისა და წერის გარეშე შეუძლებელია რაიმე პროგრესსა და წარმატებაზე საუბარი რომელიმე საგანსა თუ დარგში. ამ საკონფერენციო მოხსენების მიზანია მასწავლებელთა დამოკიდებულების შეცვლა კითხვის სწავლების პირველი ნაბიჯების მიმართ.

ესგ-ის მიხედვით პირველი კლასის ბოლოს მოსწავლემ უნდა იცოდეს ქართული ანბანი და ახერხებდეს შესაბამისი სიტყვების დეკოდირებას, მცირე ზომის საბავშვო-სასწავლო ტექსტების წაკითხვას. როგორ დავაწყებინოთ ბავშვს კითხვის სწავლა? იქნება ეს პროცესი მისთვის მტანჯველი, გაუგებარი, უაზრო თუ სახალისო, სასიამოვნო და გასაგები?

დღევანდელ ქართულ სკოლაში პირველკლასელები კითხვის სწავლისას წვალობენ. ამავდროულად ეს პროცესი წარიმართება ისეთი ტექსტების კითხვით, რომელთა გაგებაც ბავშვებს უჭირთ. მაგალითად, გემი სოხუმშია. გოშია თივის გუშაგია. გოშია შავია. იგი ავია. ეს მაკას სათამაშო გემია. შიომ სოკო გაახმო... წარმოიდგინეთ პატარა მკითხველის იმედგაცრუების ხარისხი, რომელმაც ძლივს ამოიკითხა ეს წინადადებები...

მოკლედ, პატარას ვპირდებით, სანამ კითხვას კარგად ისწავლი და საინტერესო რამეებს წაიკითხავ, - ისეთებს, რომლებსაც თვითონ თვალებგაფართოებული უსმენდა უფროსებს მიჩერებული, - მანამდე ასეთი სისულელების კითხვით უნდა იწვალოო.

ჩვენი შემოთავაზებით, პირველ კლასში კითხვის სწავლება უნდა დავიწყოთ ენობრივი პრაქტიკის მეთოდის გამოყენებით. ეს მთლიანად შეცვლის მოსწავლეების დამოკიდებულებას კითხვის პროცესის მიმართ, ერთი მხრივ, მასწვალებლებისას, მეორე მხრივ, თავად ამ პროცესით და ამ პროცესში შექმნილი ტექსტების გამოყენებით შეისწავლიან ბავშვები ანბანს, კითხვას. მეთოდის გამოყენებისას მასწავლებელი მოსწავლეების მონაწილეობით საინტერესო, ავთენტიკურ თემაზე თხზავს ტექსტს და მათსავე თვალწინ წერს დაფაზე / ფლიპჩარტზე. ამის შემდეგ გრძელდება ამ ტექსტზე სასწავლო აქტივობების წარმართვა.

ამ მიდგომის გამოყენება თავისუფლად შეიძლება სკოლებში, სადაც ბავშვები მშობლიურ ენაზე სწავლობენ წერა-კითხვას და არ აქვთ

შეზღუდული ლექსიკური მარაგი. ასეთი მიდგომის დიდ პოპულარიზაციას ეწევა საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PRIED) და მისი წიგნიერების მიმართულების ხელმძღვანელი პაატა პაპავა. ამ პროექტის ფარგლებში გადაღებულიცაა მეთოდიკური ფილმი თამარ ჭანტურიას მონაწილეობით („ენობრივი პრაქტიკა - მასწავლებელი კალამი“ პირობითად, „პაპო და პიპო“). თუმცა, აღსანიშნავია, რომ მეთოდის პირველ კლასში გამოყენება ანბანის ათვისების მიზნით ჯერჯერობით არ ხერხდება. მით უმეტეს, ამის გაკეთებას ვერ ბედავენ ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლები.

ჩემი ამოცანა იყო, მომესინჯა ენობრივი პრაქტიკის ანბანის ათვისების საფეხურზე გამოყენება და დამედასტურებინა მისი ეფექტურობა. საკონფერენციო მოხსენებით შევეცდები, უფრო გასაგებად წარმოვადგინო ჩემ მიერ განხორციელებული ნაბიჯები, რომლის ერთ-ერთი გამოვლინებაა ქვემოთ წარმოდგენილი ილუსტრაციაც.

ლიტერატურა:

1. კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე, საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი, 2015, 348 გვ.
2. ნათელა მაღლაკელიძე, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა/დიდაქტიკა, თბილისი, 2013
3. ქართული ენა და ლიტერატურა I-VI კლასები, გზამკვლევი მასწავლებლებისთვის 2011- 2016 წლების ეროვნულის სასწავლო გეგმის მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი, 2011, 340 გვ. http://el.ge/ge/books/read/86/ უკანასკნელად გადამოწმებულია 28. 07. 2017
4. პაპავა პ, ჭანტურია თ, წიგნიერება - მასწავლებლის სახელმძღვანელო, 2012, 115 გვ. http://bit. ly/2u7dYTX 28. 07. 2017
5. Temple, C,. Ogle, D,. Crawford, A,. Freppon, P. All Children Read, Teaching for Literacy In Today’s Diverse Classroom. Pearson Education, Inc. 2008
6. https://www. youtube. com/watch?v=IQMD-uEW3v4 (ფილმი «ენობრივი პრაქტიკის მეთოდი»)

მოსწავლეთა შეფასება საქართველოში – ხარვეზები და ალტერნატივის ღირებულება

მ. გოდუაძე*[1], ქ. მემანიშვილი[2]

[1]მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
[2] აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
mariam.goduadze.1@iliauni.edu.ge

განათლების ბევრი მკვლევარი (Booth & Ainscow, 1998; Bruce 2001; Hattie & Timperley, 2007; Zaff & Behre, 2003; Engh & Rose, 2014) სასწავლო პროცესში გადამწყვეტ მნიშვნელობას განმავითარებელ, ფორმატულ შეფასებას ანიჭებს. მოსწავლეთა შეფასებისა თუ დაფასების ეს ფორმა ჩვენი დაკვირვებითაც ფასდაუდებელი ღირებულებისაა. თუმცა თანამედროვე ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში უპირატესობა ყოველდღიურ განმსაზღვრელ – ნიშნით, ქულებით შეფასებას ენიჭება და არა განმავითარებელ შეფასებებს. საქართველოს საჯარო სკოლებში ბავშვები ნაკლებად თუ იცნობენ თვითშეფასების კითხვარებს, რომელთა მართებული გამოყენებით არაერთ სასარგებლო შედეგზე გასვლაა შესაძლებელი; მასწავლებლები იძულებულნი არიან, კანონით განსაზღვრულ მოსწავლეთა შეფასების სტანდარტს დაემორჩილონ, რაც ხშირ შემთხვევებში ვერ ახდენს მოსწავლეთა სტიმულირებას, უფრო მეტიც, აქრობს მოსწავლეთა მოტივაციას, რაც საერთო შედეგებზე ნეგატიურად აისახება.

ყოველდღიურ სასწავლო პროცესში ქულებით შეფასებასთან დაკავშირებით ჩვენ მიერ ჩატარდა კვლევა, რომელიც დავიწყეთ 2013 წლის აპრილში და გაგრძელდა 2017 წლის აპრილის თვემდე. კვლევა დაეყრდნო ექსპერიმენტულ თუ გამოკითხვით მეთოდებს. გამოიკითხნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, თბილისისა და ქუთაისის საჯარო სკოლის მოსწავლეები და ქართველი პედაგოგები, რომლებმაც გამოთქვეს კვლევაში მონაწილეობის სურვილი – სულ 1000-მდე მონაწილე.

დადასტურდა, რომ მასწავლებელთა, მოსწავლეთა თუ მათი მშობლების თვალსაზრისები ჩვენსას ემთხვევა და იკვეთება ყოველდღიური განმსაზღვრელი შეფასების ამოღების აუცილებლობა, იმდენად, რამდენადაც ნიშნების წერის არაეფექტურობა თავს იჩენს სხვადასხვა ასპექტში. კერძოდ, 1. სკოლაში დაწერილი ნიშნები რეალურად ვერ ასახავს მოსწავლის ცოდნას; 2. სკოლაში დაწერილი ქულები ძალიან ხშირად არ ემთხვევა საატესტატო თუ ეროვნულ გამოცდებზე მიღებულ ქულებს, ვერ ასრულებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ფუნქციებს, შესაბამისად, ღირებულებას მოკლებულია.

ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ რეკომენდაციას, რომელიც შეიძლება გაიზიაროს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შეფასების ცენტრმა, საქართველოს პარლამენტის განათლების კომიტეტმა მოსწავლეთა ყოველდღიურ შეფასებასთან დაკავშირებით ცვლილებების მოსამზადებლად.

განათლებისა და აღზრდის კონცეფცია განათლების სოციოლოგიის ჩამოყალიბების გარიჟრაჟზე

თ. შინჯიაშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
tamuna205@googlemail.com

განათლების იდეების, პრობლემების და კონცეფციების განხილვამ XIX საუკუნის მეცნიერთა სოციოლოგიურ შრომებში მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი სოციოლოგიური მეცნიერების განსაკუთრებული დარგის _ განათლების სოციოლოგიის ჩამოყალიბებას. ამ პროცესში დიდი როლი აკისრია პოზიტივისტურ იდეებს (ო. კონტი, ჰ. სპენსერი), ფსიქოლოგიურ მიმართულებას (ლ. უორდი, გ. ლებონი, ჩ. კული), კლასიკურ გერმანულ სოციოლოგიას (გ. ზიმელი, მ. ვებერი). განათლების სოციოლოგიის ჩამოყალიბების ფაქტორად სხვადასხვა მიმართულებები და პარადიგმები იქცა. ყველა ამ სოციოლოგისთვის საერთო იყო საზოგადოების განვი-თარების და მისი ტრანსფორმაციის პროცესში განათლებისა და აღზრდის დიდი როლის აღქმა და აღიარება.

ფრანგი სოციოლოგის ოგიუსტ კონტის შემოქმედებაში განათლების პრობლემები აღზრდის პრობლემებთან მჭიდრო კავშირში განიხილებოდა. ამ უკანასკნელს ის უფრო ფართო და მნიშვნელოვან ცნებად თვლიდა. კონტი მიიჩნევდა, რომ განათლება აუცილებლად უნდა ყოფილიყო გამოყენებული როგორც აღზრდის ძირითადი ფაქტორი, აღზრდის მიზნებისა და ამოცანების მიღწევის უმნიშვნელოვანესი საშუალება. იგი დღის წესრიგში განათლების რეფორმის განხორციელების აუცილებლობის საკითხს აყენებდა და საჭიროდ თვლიდა კათოლიკურ სწავლებასა და აღზრდის სისტემაზე უარის თქმას, რომელიც გამოსადეგი მხოლოდ შუასაუკუნეებში იყო. განათლების პრობლემის ანალიზს გვერდი ვერ აუარა ინგლისელმა სოციოლოგმა ჰერბერტ სპენსერმა. კონტის მსგავსად, სპენსერი აკრიტიკებს განათლების, აღზრდის შუასაკუნოვან სისტემას, რომელიც რელიგიური განათლების ბატონობაზე და საეკლესიო დოგმებზე იყო დაფუძნებული. სპენსერი მხარს უჭერდა იმ პრინციპის რეალიზაციას, რომელსაც ეწოდა „სწავლა სიამოვნებისთვის“. ამან ბიძგი მისცა ინგლისელ სოციოლოგს სწავლების ინოვაციური მეთოდიკის შექმნის საკითხი დაესვა, რომელიც აღნიშნული პრინციპის რეალიზაციაზე და მოსწავლეთა მხატვრული უნარების განვითარებაზე იქნებოდა მიმართული. იგი არა ნაკლებ მნიშვნელობას მოსწავლეთა ნებისყოფას ანიჭებდა, რაც მათ სასწავლო პროგრამის ათვისებაში უნდა დახმარებოდა.

განათლების საკითხების დამუშავებაში თავისი წვლილი ფსიქოლოგიური მიმართულების წარმომადგენლებმაც შეიტანეს. განათლებასა და

აღზრდასთან დაკავშირებული კონტის, სპენსერის და სხვათა მიერ ადრეული კლასიკური პერიოდის პირობებში ფორმირებული მთელი რიგი იდეები შემდგომში განვითარდა, ზოგიერთი იდეა კი პირველად გამოითქვა.

ფსიქოლოგიური მიმართულების განხილვისას აუცილებელია შევჩერდეთ გ. ლებონისა და ჩ. კულის შეხედულებებზე. ფრანგი სოციოლოგი გუსტავ ლებონი თვლიდა (ისევე როგორც მისი წინამორბედი სოციოლოგები), რომ აუცილებელია განათლებისა და აღზრდის ტრადიციული სისტემის შეცვლა ახლით, რომლის საფუძველიც პროფესიული აღზრდა იქნება. ამის განსახორციელებლად დაზეპირება, დაზუთხვა არ არის საკმარისი, აუცილებელი ხდება ნამდვილი პროფესიული ცოდნის, უნარების, სიახლეების დაუფლება ამა თუ იმ კონკრეტულ პროფესიაში.

ამერიკელი სოციოლოგის ჩარლზ კულისთვის პიროვნება ყურადღების მთავარი საგანი იყო. მისი აზრით, განათლება სოციალური მემკვიდრეობის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია, რომელიც ადამიანის ფორმირებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. სოციოლოგიაში ფსიქოლოგიური მიმართულების ფარგლებში ფორმირებულმა იდეებმა დიდი როლი შეასრულეს განათლების სოციოლოგიის ჩამოყალიბებაში. ეს იდეები აქტიურად გამოიყენა კლასიკური გერმანული სოციოლოგიის წარმომადგენელმა მ. ვებერმა. მაქს ვებერის მიხედვით კვალიფიკაცია, ცოდნა, უნარი, პროფესიული ხელოვნება – ყველა ეს ფაქტორი განათლების წყალობით განსაზღვრავს ადამიანის ადგილს საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში. ვებერი განათლების სოციალურ როლს არა მარტო მისი თანამედროვე კაპიტალიზმის პირობებში განიხილავდა. გერმანელი სოციოლოგი, როგორც ცნობილია, თავის შემოქმედებაში დიდ ყურადღებას უთმობდა მსოფლიო მეურნეობის ისტორიის დახასიათებას, განათლების როლს ავლენდა უძველესი პროფესიების (ხელოსნის, მკურნალის და სხვ.) ჩამოყალიბებაში. განათლების სოციოლოგიის ჩამოყალიბებაში ასევე დიდი ღვაწლი მიუძღვით ცნობილ ევროპელ სოციოლოგებს – ფრანგ ემილ დურკემს და გერმანელ კარლ მანჰეიმს. ბრწყინვალედ იცოდნენ თავიანთი და ევროპის სხვა ქვეყნების განათლების სისტემა. ისინი უშუალოდ იყვნენ ჩაბმულნი მასში, მუშაობდნენ მასწავლებლებად სასწავლო დაწესებულებებში. ყურადღებით ადევნებდნენ თვალს მის განვითარებას, აანალიზებდნენ საგანმანათლებლო სტრუქტურის ფუნქციონირებისათვის დამახასიათებელ ტენდენციებს. ისინი აღზრდას განიხილავენ, როგორც საზოგადოების მსგავსს: „აღზრდა არსებობს ჯანმრთელი, როცა თვით ხალხი არის ჯანმრთელი, მაგრამ ფუჭდება, უარესდება მათთან ერთად და არ შეუძლია შეიცვალოს დამოუკიდებლად, საკუთარი ძალებით“. „აღზრდა რეფორმირდება მხოლოდ მაშინ, როცა თვით საზოგადოება რეფორმირდება.“

ღირებულებებზე დაფუძნებული სკოლა

თ. ჩაგელიშვილი

სსიპ ბ. კაპანაძის სახელობის ძლევიჯვარის საჯარო სკოლა
tamunachagelishvili125@gmail.com

სკოლას, როგორც მიკროსაზოგადოებას, შეუძლია დახმარება გაუწიოს მოსწავლეებს, რათა მათ ადრეული ასაკიდან შეითვისონ და სათანადოდ დააფასონ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ძირითადი ღირებულებები. სკოლაში მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება გააცნობიერონ თავიანთი ინტერესები და შეხედულებები გაბედულად და საკუთარ თავში დარწმუნებით გამოხატონ ისინი.

რა უწყობს ხელს სკოლაში ღირებულებების დამკვიდრებას?

ეს არის პირველ რიგში ზოგადი ეროვნული მიზნები (ზგემი), ეროვნული სასწავლი გეგმა (ესგ), სახელმძღვანელოები და რაც მთავარია, მასწავლებლის მიერ სწორად შერჩეული სწავლების სტრატეგიები და აქტივობები.

სასურველია მოსწავლეებს შეეძლოთ არა მარტო ინფორმაციის ათვისება, არამედ დამუშავება და გამოყენება ცხოვრებაში, ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე ეფექტურია ღირებულებებზე დაფუძნებული სწავლების ისეთი ფორმები, როგორიცაა: სწავლება პრეზენტაციის საშუალებით, კვლევის საშუალებით, დამოუკიდებლად და ინტერესით განპირობებული სწავლა, სწავლა პროექტების ფარგლებში. შედეგად კი ვიღებთ ისეთ მოსწავლეებს, რომლებიც წინასწარი ინსტრუქციების გარეშე ერთვებიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გამოირჩევიან ინფორმირებულობის დონის ამაღლებით, აქტივობით, ლობირებით და პრობლემების მოგვარებით, მოსწავლეები იღებენ პასუხისმგებლობას თავიანთ გადაწყვეტილებებსა და არჩევანზე, ამავდროულად ითვალისწინებენ ამ გადაწყვეტილებების და არჩევანის შედეგებს როგორც საკუთარი თავის, ისე სხვათა მიმართ. .

უკანასკნელ წლებში ევროპის მასშტაბით განვითარებულმა მოვლენებმა და განხორციელებულმა ცვლილებებმა რამდენადმე შეცვალა ღირებულებები, ეს კი მოიცავს: ეთნიკურ კონფლიქტებს და ნაციონალიზმს; გლობალურ საფრთხეებს; ინფორმაციის გავრცელებისა და კომუნიკაციის; ახალი ტექნოლოგიების განვითარების; გარემოსდაცვით პრობლემებს; მოსახლეობის მიგრაციას; მანამდე არაღიარებულ კოლექტიურ იდენტობათა ახალი ფორმების აღმოცენებას; მზარდ მოთხოვნას პერსონალურ ავტონომიასა და თანასწორობის ახალ ფორმებზე; ადამიანებს შორის სოციალური ერთობისა და სოლიდარობის შესუსტება; პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი, მმართველობის ფორმების და პოლიტიკური ლიდერების

მიმართ ნდობის ხარისხის შემცირება; პოლიტიკას, ეკონომიკას და კულტურას შორის მზარდ ურთიერთკავშირს, როგორც რეგიონულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

ასეთი გამოწვევების ფონზე ცხადი გახდა, რომ საჭიროა ისეთი მოსწავლეები, რომლებიც არა მხოლოდ ინფორმირებულნი არიან ან ნათელი წარმოდგენა აქვთ თავიანთ მომავალ მოქალაქეობრივ ვალდებულებებზე, არიან აქტიურნი, რომელთაც შეუძლიათ თავიანთი წვლილი შეიტანონ საზოგადოების ცხოვრებაში, ქვეყნის განვითარებაში და ასევე მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე მოვლენებში. ..

ლიტერატურა:

1. ევროპის საბჭოს გამომცემლობა- განათლება დემოკრატიისთვის, სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ. (წიგნი I).

წიგნიერი გარემო და თავისუფალი არჩევანი – მოსწავლეთა ღირებულებების განმავითარებელი სტიმულები

ლ. კოტორაშვილი

წმინდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლა
lkotoraanti@gmail.com

მართალია, ღირებულებების დეფინიცია საკმაოდ რთულია, თუმცა არსებობს მარადიული ფასეულობები, რომლებიც მოზარდის მოქალაქეობრივი შეგნების განვითარების პროცესში დიდ როლს თამაშობს.

ვფიქრობ, წიგნიერი გარემო უმნიშვნელოვანესი სტიმულია მოსწავლეთა განათლებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებისას, თუმცა მხოლოდ წიგნიერი გარემო არ არის საკმარისი, პარალელურად აუცილებელია იმ უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომლებითაც ისინი შეძლებენ წიგნიერი სივრცის საკუთარი საჭიროებისამებრ გამოყენებას, ეს ყოველივე კი თავისუფალ არჩევანზე უნდა იდგეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, პროცესი შეფერხდება.

კვლევების, სხვათა მოსაზრებების გათვალისწინებითა და საკუთარ პრაქტიკაზე დაყრდნობით ავაგე თემა, რომელშიც ყურადღებას ვამახვილებ წიგნიერ გარემოსა და თავისუფალ არჩევანზე - მოსწავლეთა ღირებულებების განმავითარებელ სტიმულებზე.

საკუთარი პრაქტიკიდან წიგნიერი გარემოს მაგალითად მოვიყვან მედიათეკას, რომელიც ორი წლის წინ უწერის საჯარო სკოლის ერთ-ერთ ოთახში დავაარსეთ, რომელსაც ბავშვებმა „ჯადოსნური ოთახი“ დაარქვეს. სკოლის მედიათეკაში რესურსებთან ერთად ხელნაკეთ ხის თაროებზე, განთავსებულია საქველმოქმედო აქციის ფარგლებში მოგროვილი ხუთასამდე წიგნი - სხვადასხვა ჟანრისა და გამომცემლობის, ამ წიგნებთან ურთიერთობა კი მოსწავლეებს, სკოლის ბიბლიოთეკისგან განსხვავებით, ყოველდღიურად, დღის ნებისმიერ მონაკვეთში, შეუძლიათ. მოსწავლეები „ჯადოსნურ ოთახში“ ატარებენ თავისუფალ დროს - წიგნებთან, ჟურნალებთან, ენციკლოპედიებთან ურთიერთობის შეუზღუდავმა ფორმამ მათი წიგნიერების დონე საგრძნობლად აამაღლა, რამაც თავისთავად ღირებულებების განვითარებას შეუწყო ხელი.

ასე რომ, სწავლების პროცესში დაგეგმილმა და განხორციელებულმა აქტივობებმა, რომლებიც ღირებულებების განმავითარებელ სტიმულებად იქცნენ, შემდეგი სახე მიიღო:

- წიგნიერი გარემო - კითხვის (არამარტო კითხვის) მოტივაციის გამომწვევი სტიმული;

- უნარ-ჩვევების გამომუშავება - წიგნების შერჩევა, ინფორმაციის მოძიება;
- წიგნიერ გარემოში დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები - პრეზენტაციები, მკითხველის თეატრი, სილუეტური თეატრი, სამოდელო გაკვეთილები, შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან, მზადება სპექტაკლებისთვის, ლიტერატურული კაფეების მოწყობა, რეკვიზიტების შექმნა, დისკუსიები, დებატები, როლური თამაშები, თავისუფალი დროის განსხვავებულ გარემოში გატარება;
- თავისუფალი არჩევანი - ზემოთ ჩამოთვლილი სტიმულების შემანარჩუნებელი და ერთ-ერთი საფუძველი, რომლის გარეშე შედეგი ვერ მიიღწევა;
- პირადი მაგალითი - მასწავლებლის როლი წიგნიერ გარემოში;

ამრიგად, ზემოთჩამოთვლილმა აქტივობებმა ხელი შეუწყო - ღირებულებების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, რის შესახებაც საინტერესო ამბები დაგვიგროვდა.

ფასეულობითი განათლება სკოლაში

ნ. ჯინჭარაძე

სსიპ გოგიტა კიკნაძის სახელობის ქალაქ თბილისის N 182-ე საჯარო სკოლა
ninuca1965@gmail.com

მომავალი თაობის აღზრდისათვის უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ფასეულობითი განათლების დამკვიდრებას სასკოლო ცხოვრებაში. ბულინგი და მშობელსა და სკოლას შორის ნაკლები კომუნიკაცია იწვევს აღსაზრდელებში აგრესიას და შუღლს, ამიტომაც, როცა ცხოვრების ასპარეზზე გადის პიროვნება, რთულად ეგუება საზოგადოებას.

პრობლემის გამომწვევი მიზეზებია:

- მოსწავლეებში უფლებებისა და მოვალეობების აღრევა;
- მშობელთა არასწორი მიდგომა კონფლიქტისადმი;
- მოსწავლეთა მხრიდან სოციუმში დამკვიდრება ძალადობრივი გზებით;
- პედაგოგთა მხრიდან მშობლებისადმი არაკვალიფიციური მიდგომა, რაც იწვევს მათ სკოლასთან გაუცხოებას.

პრობლემის გადაჭრის საშუალებებია:

- კლასის საათზე ფასეულობითი საკითხების წამოწევა და შესაბამისი ლიტერატურის გაცნობა;
- აღსაზრდელებში დადებით თვისებებზე მეტი აქცენტის გაკეთება, ვიდრე ცუდზე;
- ბავშვებში თანამშრომლობითი უნარების განვითარება;
- მშობელთა რესურსის გამოყენება მოსწავლეებში ფასეულობებისა და ღირებულებების გასათვითცნობიერებლად.

თუკი პიროვნება აცნობიერებს იმას, რომ თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით სხვისი უფლებები არ უნდა შეზღუდოს, მაშინ ის ყოველთვის ეცდება იყოს საზოგადოების ღირსეული წევრი.

ინტერაქტიური პედაგოგიკა – როლური თამაშები პიროვნების მრავალმხრივი ჩამოყალიბებისთვის

ნ. მესხი*, ზ. კრაინერი

გურამ რამიშვილის სახ. ქ. თბილისის N20 საჯარო სკოლა
nanafrend@yahoo.de

ადამიანი განათლებას მთელი ცხოვრების მანძილზე იძენს: სხვა ადამიანებთან ურთიერთობებში, ლიტერატურის, ყოველდღიური პრესის კითხვით, ტელე-გადაცემების ყურებით, სოციალური ქსელების საშუალებით, სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობით, მაგრამ უმთავრეს განათლებას იგი სკოლაში იღებს, სადაც ის მეცნიერულად სისტემატიზებულ ცოდნას ეუფლება. ეს ცოდნა არსებითად განსხვავდება თვითგანვითარებით შეძენილი ცოდნისაგან იმით, რომ სასკოლო ცოდნა დაფუძნებულია მეცნიერების განვითარების ლოგიკაზე და პიროვნების მრავალმხრივ ჩამოყალიბებას ემსახურება.

ინტერაქტიური პედაგოგიკა - როლური თამაშები პიროვნების მრავალმხრივი ჩამოყალიბებისთვის

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ხარისხის განუხრელი ზრდა მხოლოდ ლიბერალური განათლების პრინციპებითა და მეცნიერულ კვლევებსა და პრაქტიკაზე დაფუძნებული ფუნდამენტური ცოდნის გადაცემით შეიძლება იქნეს მიღწეული. ამ პროცესში ზუსტად უნდა განისაზღვროს, თუ რა მიზნით ვასწავლით, რას ვასწავლით და როგორ ვასწავლით.

ჩვენი მიზანია საგანმანათლებლო საქმიანობისა და უშუალოდ სასწავლო პროცესის ორგანიზება მეთოდებით, რომლებიც აღმოფხვრიან წინააღმდეგობებს ტრადიცულსა და თანამედროვე საშუალო განათლებას შორის. წინააღმდეგობის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ ტრადიციული განათლება არასათანადოდ აფასებდა განათლების სუბიექტის წამყვან როლს, ანიჭებდა რა უპირატესობას ცოდნას და არა მის პროდუქტიულად გამოყენების უნარს.

ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი ამოცანაა, შექმნას ეროვნული მიზნების მისაღწევი საგანმანათლებლო გარემო და რესურსები. ამ მიზნიდან გამომდინარე, იგი ირჩევს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო კონცეფციას.

ამ კონცეფციის აღმავლობას უკანასკნელ პერიოდში თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში ხელი შეუწყო სხვადასხვა სამეცნიერო დარგში (კოგნიტურ ფსიქოლოგიაში, ნეირო მეცნიერებებში, განათლების მეცნიერებებში, ფსიქოლინგვისტიკაში, ენების დიდაქტიკაში და სხვ.) მიმდინარე ინტენსიურმა კვლევებმა, რომლებმაც მეცნიერულად დაასაბუთეს მისი

უპირატესობა მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირ-ებისათვის, შესაბამისად, ისეთი მოქალაქის აღზრდისათვის, რომელიც თანამედროვე სამყაროს გამოწვევებსა და მოთხოვნებს უპასუხებს.

ინტერაქტიური მეთოდები (ინგლ: ***interaction***- ურთიერთქმედება) სწავლების მეთოდებია, რომელთა დანიშნულებაა სწავლება, როგორც შემეცნების ერთობლივი პროცესი, როდესაც ცოდნა მიიღწევა ერთობლივი საქმიანობით დიალოგის, პოლილოგის მეშვეობით. ეს მეთოდები განსხვავდება სწავლების ჩვეული მეთოდებისაგან, რომელიც ეფუძნებოდა პრინციპს თეორიიდან ⇨ პრაქტიკისაკენ, არამედ აყალიბებს თეორიის გაცნობიერ-ების ახალ გამოცდილებას მისი უშუალოდ სწავლის პროცესში გამოყენების გზით. როლური და სიტუაციური თამაშები - სცენარის მიხედვით განხორციე-ლებული როლური თამაშები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს მოსწავლეს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

უკვე სამი წელია გურამ რამიშვილის სახელობის N20 საჯარო სკოლაში საშუალო საფეხურის კლასებში გერმანელ პროფესორებთან ერთად ვატარებთ გაკვეთილებს პროფ. ზიგფრიდ კრაინერის ინტერაქტიური თამაშების გამოყენებით. ეს ფსიქოლოგიური თამაშები ძალიან დინამიკური და ხალისიანია, ამავე დროს შემეცნებითი და განმავითარებელი. ასეთი გაკვეთილები პედაგოგს ეხმარება კლასში მეგობრული, კეთილგანწყობილი და ღია ურთიერთობების დამყარებაში, რაც თავისთავად ხელს უწყობს სწავლების პროცესს.

ინტერაქტიული გაკვეთილების ჩატარება ხდება საშუალო საფეხურის კლასებში მთელი სასწავლო წლის მანძილზე სპეციალური გაკვეთილების სახით და მათ ვატარებთ მე და პროფ. ზ. კრაინერი, ფსიქოლოგი, გერმანის-ტი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, კარლსრუეს უნივერსიტეტის პროფესორი.

ინტერაქტიური სწავლება:

1. ხელს უწყობს აღქმის, გააზრების, გაცნობიერებისა და ათვისების პროცესის ინტენსიფიკაციას;
2. ხელს უწყობს ცოდნის შემოქმედებითად გამოყენებას კონკრეტული პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის პროცესში;
3. აყალიბებს ნდობის ატმოსფეროს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, ვინაიდან მეთოდის რეგულარული გამოყენების საფუძველზე მოსწავლე პროდუქტიულად ითვისებს მასალას, თამამად გამოთქვამს საკუთარ აზრს, არ აქვს შიში, რომ არასწორ პასუხს მოჰყვება ნეგატიური შეფასება;

4. ზრდის პრობლემების გადაწყვეტაში ჩართვის მოტივაციას და აძლევს მოსწავლეს შემდგომი დაკვირვების/კვლევის, კონკრეტ-ული ქმედებების ემოციურ ბიძგს;
5. აყალიბებს არაორდინარულად ფიქრის უნარს, პრობლემური სიტუაციის საკუთარი ხედვის, პრობლემათა გადაწყვეტის საკუთარი გზების ძიების მოთხოვილებებს;
6. მოქნილსა და ჰუმანურს ხდის ცოდნის ათვისებისა და მისი გამოყენების შეფასების/კონტროლის მექანიზმებს.

ინტერაქტიული თამაშების საშუალებით ბავშვები იღებენ ახალ შთაბეჭდილებებს, სოციალურ გამოცდილებას, სწავლობენ ერთმანეთის მოსმენას, ხდება პოზიტიური თვითშეფასების ჩამოყალიბება. თამაშები არის ძალიან სახალისო, საინტერესო.

გერმანული ენის გაკვეთილი ჩვენს სკოლაში კვირაში 6 სთ. ტარდება. ეს გახლავთ გერმანული ენის სადიპლომო სკოლა, სადაც გაძლიერებული გერმანული ისწავლება. დღეში ორი გაკვეთილი. პირველი გაკვეთილი ცოცხალი ლექციის სახით ტარდება თემაზე: „ფსიქოლოგიური საწყისები ინტერაქტიურ პედაგოგიკაში“. მეორე გაკვეთილი შერეული სახისაა, ინტერაქტიური თამაშებით. წლის ბოლოს ჩვენი გერმანელი პროფესორი და მისი კოლეგები საზეიმოდ გადასცემენ მოსწავლეებს სერტიფიკატებს.

აქვე მოგვყავს როლური თამაშების ორი ნიმუში:

თამაში „განტვირთვა"

მოსწავლეები დადიან საკლასო ოთახის დიდ წრეში, ისე, რომ ერთმანეთს არ ეჯახებიან და არც ეხებიან. ისინი ასრულებენ პროფ. დოქტ. კრაინერის ბრძანებებს. იმოძრავეთ ცოცხლად, ვითომ გეჩქარებათ, ნელა, დაღლილი სვლით...

იხტუნეთ, მაღლა ახტით, გარშემო ირბინეთ, თვალი ჩაუკარით შემხვედრს, ხელები გაიქნიეთ. განაწილდით თანაბრად ოთახში. მოძრაობთ წრეში. გავიყავით ხელმეორედ. თამაშის შეჩერება ხდება ბრძანებით, ზუსტად იმ მდგომარეობაში, როგორშიც უნებურად აღმოჩნდით. ბატონი ზ. კრაინერი განიშნებთ. ადგილის შეუცვლელად და უმოძრაოდ დაფიქსირდება ყოველი მონაწილე თანაკლასელი მეტოქის პირისპირ. დასვით შეკითხვები ოთახში არსებული ნივთების ადგილმდებარეობის შესახებ, რომელზეც შემხვედრი მოსწავლე პასუხობს. გერმანული ენის სწავლების პროცესში სწორად დასმული შეკითხვა და პასუხი ხელს უწყობს ცოდნის შემოქმედებითად გამოყენებას კონკრეტული პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის პროცესში; თამაში გრძელდება არაუმეტეს 10 წუთისა.

თამაში „პანტომიმა“

კლასი იყოფა სამ ჯგუფად და თითოეულ ჯგუფს ეძლევა სხვადასხვა დავალება I ჯგუფი იღებს საიდუმლოდ დავალებას, ინსცენირება გააკეთონ „დილა სოფლად მცხოვრები გლეხის ფერმაში“ ისე, რომ პანტომიმით მეტოქე ჯგუფმა ვერ გამოიცნოს სად ხდება მოქმედება. II ჯგუფი ღებულობს დავალებას დადგან გაფუჭებული რადიოს გადაცემები, III ჯგუფი მუშაობს გემის ეკიპაჟის ინსცენირებაზე.

თამაშის მიზანია მოსწავლეებს დაეხმაროს პოზიტიური თვითშეფასების ჩამოყალიბებაში, კომუნიკაციური უნარების განვითარებაში, ერთმანეთის უკეთ შეცნობაში.

თამაშის შემდეგ ბავშვები პროფ. ზ. კრაინერთან ერთად აანალიზებენ და განიხილავენ მიღებულ გამოცდილებას, გამოხატავენ თავის აზრს. ყოველთვის ხაზი უნდა გაესვას ბავშვების მიერ გამოტანილ დასკვნებს. განხილვის დროს ბავშვს უნდა ჰქონდეს საშუალება თქვას ის, რასაც ფიქრობს. ეს ნიშნავს იმას, რომ პედაგოგი არ აფასებს მის არც ერთ სიტყვას. თუ ბავშვი არ ერთვება დიალოგში და არ უნდა რაიმე გვიპასუხოს, არ ვაძალებთ, დაველოდებით სხვა დროს.

ინტერაქტიული თამაშების დაგეგმვისას მნიშვნელოვანი ფაქტორია დროის სწორად გადანაწილება, რაც არცთუ ისე მარტივია გადატვირთული ცხრილების გამო. კარგი იქნება თუ ამ თამაშებს დაეთმობა სპეციალური გაკვეთილი და ჩაატარებს ფსიქოლოგი, თუმცა თამაშების გამოყენება შეიძლება ჩვეულებრივი გაკვეთილის დროსაც. თამაშების დადებითი მხარე ისიცაა, რომ მასწავლებელს შეუძლია საკუთარი ფანტაზიაც გამოიყენოს და სიტუაციიდან გამომდინარე თამაშში ახალი ელემენტებიც შეიტანოს. ამ მხრივ განსაკუთრებით ხელსაყრელია უცხოური ენის გაკვეთილი.

პრაქტიკამ ნათლად გვიჩვენა, რომ საკმაოდ მოსახერხებელია ხანმოკლე თამაშები განტვირთვისათვის, რაც გაკვეთილებს შორის, ან ნებისმიერი გაკვეთილის დროს არის მიზანშეწონილი, თუკი მასწავლებელი შეამჩნევს ბავშვების გადაღლას, დაძაბულობას კლასში. განსაკუთრებით ეს ხშირია სასწავლო წლის დასაწყისში და ასევე არდადეგების შემდეგ. ასეთი თამაშები ბავშვებს ეხმარება დაძაბულობის მოხსნაში და განმუხტვაში.

როგორც ჩვენი სკოლის მაგალითმა გვაჩვენა, ფსიქოლოგიური თამაშების სისტემატური გამოყენების შედეგად ხდება სასწავლო პროცესის გახალისება, მოსწავლეების გააქტიურება. ბავშვები იღებენ გამოცდილებას, უადვილდებათ სხვებთან კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარება, უყალიბდებათ დადებითი დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი. ყველას სჭირდება საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა და სხვათა ღირსებების დანახვა, საერთო სიხარულის, სიამოვნების, აზარტის შეგრძნება, რაც თან ახლავს ინტერაქტიულ გაკვეთილებს.

ლანდშაფტი როგორც რესურსი და მისი გამოყენების როლი ღირებულებების ფორმირებაში

მ. ფირჩხაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
maiapirchkhadze@gmail.com

ლანდშაფტი ტერიტორიის იერ-სახეა, ბუნებრივ-გეოგრაფიული კომპ-ლექსია, რომლის ფარგლებში მისი თითოეული კომპონენტი რთულ ურთიერთკავშირში იმყოფება, მორგებულია ერთმანეთზე და ქმნის ერთიან, განუყოფელ სისტემას, რომელიც განვითარების ერთგვაროვანი პირო-ბებით ხასიათდება. ლანდშაფტზე ყოველი საზოგადოება ტოვებს თავის ნაკვალევს, ქმნის რა ამით საკუთარ ლანდშაფტს, ამიტომ ის შეიძლება განვიხილოთ როგორც სარკე, რომელშიც ადამიანის ქმედებები, ბუნებაზე მისი ზეგავლენა აისახება.

ლანდშაფტი ასახავს კონკრეტული საზოგადოების როგორც „ავტორის“ „თანდასწრებას“, „მონაწილეობას“ ისტორიულ პროცესში, ამიტომ მისი დახმარებით ადამიანი აღიქვამს იმ გავლენას, რომელსაც ის ახდენს მოვლენათა მსვლელობაზე, წარმოიდგენს, თუ სად და როდის ხდება ეს მოქმედება; ლანდშაფტის როლი ძალიან დიდია საზოგადოების ხასიათისა და მისი ფსიქოტიპის ჩამოყალიბებაზეც, რადგან ადგილმდებარეობა კვალს ტოვებს იქ მცხოვრებთა ხასიათზე, აყალიბებს და ასახავს საზოგადოებრივ მისწრაფებებს. ამგვარი დამოკიდებულებით კი იქმნება საზოგადოების ღირებულებები, როგორც რწმენები, რომელთაც ინდივიდი ქცევის, ქმედების სტანდარტად მიიჩნევს.

ღირებულებები ყალიბდება იმისთვის, რომ ინდივიდებმა საკუთარი მოთხოვნილებები სოციალურად მისაღები გზით დაიკმაყოფილონ. და რამდენადაც ღირებულებების ქცევით ასპექტებს აყალიბებს კულტურული კონტექსტი, რომელშიც ისინი ვითარდება, შესაბამისად, ლანდშაფტს როგორც მემატიანეს იმ ცალკეული მოვლენებისა, რომლებმაც მის სტრუქტურაზე მოახდინეს გავლენა, როგორც კულტურის ნაწილს, როგორც რესურსს ღირებულებების ფორმირებაში, განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ლანდშაფტური „ღირებულებები“ რომლებიც ეთიკურ - ესთეტიკურ და სხვა კულტურულ ღირებულებებს შეიცავენ ხელს უწყობს თანაგრძნობისა და მზრუნველობის გამოწვევას, სამშობლოს სიყვარულის, პრინციპულობისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდას, შრომისმოყვარეობისა და პატივისცემის ჩამოყალიბებას, ტოლერანტობასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას, უსაფრთხო გარემოს შექმნას.

მაგრამ ლანდშაფტი ღირებულების ჩამოყალიბების რეალურ რესურსად გადაიქცევა მხოლოდ სწორი პედაგოგიური ორიენტირების შემთხვევაში.

ლანდშაფტთან როგორც ღირებულებების ჩამოყალიბების რესურსთან მუშაობის დიდაქტიკური მიზნებია: ისტორიული კონტექსტის აღქმა, მოტივაციის ამაღლება, ისტორიული პროცესების შემეცნების გაზრდა ისტორიული ფაქტების მოდელირების გზით; გარემოს მიმართ საკუთარი დამოკიდებულების ფორმირება, ახალი ცოდნის აგება, სხვადასხვა შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება და ა. შ.

ამის მიღწევა სწავლების პროცესში შესაძლებელია ისტორიული და თანამედროვე ნარატიული და ვიზუალური მასალების - სურათების, ნახატების, ფოტოგრაფიების, რუკების - მოშველიებით, განსაკუთრებით მათი, რომლებიც ერთსა და იმავე ადგილს აღწერენ და ასახავენ, ასევე სხვა ვერბალური თუ არავერბალური საშუალებებით. წყაროთა სწორი ინტერპრეტაცია საშუალებას გვაძლევს სწორი დასკვნების გამოტანაში, გარემოს მიმართ საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბებასა და საკუთარი ქმედებების შეფასებაში.

ლანდშაფტის როგორც რესურსის გამოყენება ზრდის კომუნიკაციურ კულტურას, პიროვნულ პასუხისმგებლობას და ააქტიურებს ზოგადკოგნიტურ პროცესებს, ამიტომ მასზე აქცენტირება ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესში აუცილებელია.

მათემატიკა და ფასეულობითი განათლება

ნ. სვანიძე, დ. ცანავა

იუჯი სკოლა
nanasvanidze@gmail. com

საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ფასეულობები ამ საზოგადოების მიერ შექმნილი ნორმების და კანონების საწინდარია. ამიტომ ღირებულებით განათლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისთვის. თანამედროვე, განათლებული ადამიანის ღირებულებებს შორის მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობა მთელი დედამიწის ეკოლოგიური სისტემის მდგრადობაზე. მოსწავლეებმა ამ საერთაშორისო ფასეულობის შესისხლხორცება პრობლემის მათემატიკური მხრიდან დანახვითაც უნდა მოახდინონ. ამიტომ სასწავლო პროცესი მულტიდისციპლინური, ეკოლოგიური პრობლემების მათემატიკური შინაარსის ამოცანების სახით დასმა მეტად აქტუალური ხდება.

ჩემი პედაგოგიური დაკვირვება ამ მიმართულებით მიმდინარეობდა მე-5 და მე-6 კლასის მოსწავლეების მათემატიკის გაკვეთილებზე, სადაც სხვადასხვა საგანმანათლებლო საიტების გამოყენებით ვცდილობდი საკლასო ოთახში რეალური ეკოლოგიური თემა შემომეტანა. მომეხდინა ამოცანების ადაპტირება ესგ-ს ჭრილში, მაგალითად ფართობის შესწავლის დროს და მოსწავლეები აქტიურად ჩამერთო ამ პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებული ამოცანების ამოხსნის პროცესში. ამოცანების შესადგენად ვეძებდი ეკოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებულ ინფორმაციებს და პირობებში რეალურ მონაცემებს ვიყენებდი. გამოთვლების ჩასატარებლად ტრადიციულ გამოთვლის ხერხებთან ერთად ვსარგებლობდით ადამიანის ეკოლოგიური ნაკვალევის (human footprint) გამოსათვლელი და ხეებისთვის ემისია/შთანთქმის მაჩვენებელი კალკულატორებით. ამ სახით რიცხვები განსაკუთრებულ შინაარსს იძენდნენ. მაგალითად, ფართობის ცნება უფრო გასაგები და საინტერესო ხდებოდა ვიდრე სიგრძისა და სიგანის უბრალოდ ნამრავლი(ასე თვლიდა მეხუთე კლასელების 80% სასწავლო წლის დასაწყისში). ასეთი ამოცანების კლასში შეტანით შევძელი ყველა მოსწავლის მოტივაციის გაზრდა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესება. ამიტომ მიმაჩნია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მივცეთ მოსწავლეებს საშუალება, აიღონ პასუხისმგებლობა პრობლემაზე და აქტუალური საკითხის განხილვა მათემატიკის გაკვეთილზე დაიწყონ, სადაც საჭირო ხდება დასკვნების გაკეთება და შემდეგი ქმედებების დასახვა. ვინაიდან ფასეულობები დამოკიდებულია როგორც ჩვენს გრძნობებზე, ასევე ჩვენს აზრებზე,რომელიც თანდათან, არგუმენტირებული მსჯელობით ყალიბდება და გადაიქცევა ფასეულობით განათლებად.

ლიტერატურა:

1. For the Learning of Mathematics Vol. 34, No. 3, November 2014
2. Values in Mathematics and Science Education: Researchers'and Teachers' Views on the Similarities and Differences Alan Bishop, Barbara Clarke, Debbie Corrigan and Dick Gunstone
3. https://www. snagfilms. com/films/title/human_footprint
4. http://www. unesco. org/education/tlsf/mods/theme_d/mod22. html?panel=3#top
5. https://aghadgine. ge/ka

შემოქმედებითობა სწავლების პროცესში

მ. ჯალიაშვილი

შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი
maiajalia@yahoo.com

ყველაფერი მუდმივად იცვლება. ამ კანონს ემორჩილება მასწავლებელიც, მაგრამ სწორედ მას სჭირდება ყველაზე ხშირი ტრანსფორმაცია დროისა და ვითარების შესაბამისად. უახლესი ტექნოლოგიები, საზოგადოების ახალი ინტერესები მასწავლებლისგან მოითხოვენ მოულოდნელი, ხანდახან სრულიად უცხო და რთული ამოცანების ამოხსნას, პრობლემების გადასაჭრელად განსხვავებული გზების ძიებას. ეს, უპირველესად, გულისხმობს, მასწავლებლის შემოქმედებითობას, უნარს, არა მხოლოდ ქვეყანაში განხორციელებული საგანმანათლებლო რეფორმების შესაბამისად, არამედ მსოფლიოში მიმდინარე გარდატეხების კვალდა-კვალ, შეცვალოს თავისი მუშაობის სტილი, გაითვალისწინოს თანამედროვე მოსწავლეთა განსხვავებული ინტერესები. მოსწავლე და მასწავლებელი არ უნდა იყვნენ სხვადასხვა განზომილებაში. სკოლა არ უნდა იქცეს მოსწავლისთვის რუტინად, ადგილად, სადაც მას რაიმეს აიძულებენ. სკოლა უნდა იყოს ცხოვრების ორგანული ნაწილი და არა დოგმებისა და შაბლონების არქივი. სასწავლო პროცესი უნდა იყოს ცოცხალი, აქტიური და მოსწავლისთვის ხელშემწყობი სიახლეების აღმოჩენაში. ნებისმიერი ცოდნა უნდა დაეფუძნოს სიყვარულს და იმ ადამიანურ ღირებულებებს, რომლებიც კაცობრიობის სიცოცხლეს აზრს ანიჭებენ.

შემოქმედებითი გაკვეთილი მოსწავლეებს ხშირად საკუთარ თავს აღმოაჩენინებს, ფარულ ნიჭს გამოამჟღავნებინებს. მასწავლებელმა გაკვე-თილზე უნდა შექმნას შემოქმედებითი ატმოსფერო, წაახალისოს ახალი იდეები, ხელი შეუწყოს შაბლონური და სტერეოტიპული აზროვნებისა და შეხედულებების უარყოფას, მოსწავლეები მიაჩვიოს საკუთარი აზრის თამამად გამოთქმას. შემოქმედებითი გაკვეთილი არის მასწავლებლის პროფესიული პოტენციალის რეალიზაციის საშუალება. სწავლებაში აქტიურობა ყოველთვის იყო და რჩება ძირითად პრინციპად. ამგვარი აქტიურობისთვის დამახასიათებელია მაღალი ხარისხის მოტივაცია, რომე-ლიც ნასაზრდოებია განცდით, რომ სწავლა აუცილებელია გონებრივი და სულიერი განვითარებისთვის, რომ სწავლის შედეგი არა აბსტრაქტული, არამედ კონკრეტულია და გულისხმობს საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის მომზადებას.

სკოლისა და მასწავლებლის მოვალეობა არა მხოლოდ ისაა, რომ ცოდნა მისცეს მოსწავლეს, გამოუმუშავოს პროგრამითა და სახელმძღვანელოებით

გათვალისწინებული უნარები, არამედ ასწავლოს ამ ყოველივესთან შემოქმედებითი მიდგომის ჩვევა. შემოქმედებითი გაკვეთილი ისაა, როდესაც მოსწავლეები არა მხოლოდ კითხულობენ, წერენ, ანგარიშობენ, უსმენენ მასწავლებელს, არამედ იკვლევენ, იგონებენ, ჰიპოთეზებს აყალიბებენ და ასაბუთებენ, რაღაც ახალს აღმოაჩენენ. ასეთ გაკვეთილებზე მოსწავლეები თავიანთ შესაძლებლობებს ავითარებენ, შემოქმედებით უნარების რეალიზაციას ახდენენ. შემოქმედებითი გაკვეთილის ჩატარება რთული პროცესია, რადგან მასწავლებელი არა მხოლოდ გეგმავს გაკვეთილის ეტაპებსა და ყოველი ეტაპისთვის გათვალისწინებულ დავალებებს, არამედ ქმნის პირობებს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გამოსავლენად. ამავე დროს, მასწავლებელი ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამას, ეროვნულ სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა მომზადების დონეს. შემოქმედებითი გაკვეთილის საფუძველია ევრისტიკული, პრობლემური, განმავითარებელი სწავლება.

ლიტერატურული კლუბის როლი მოსწავლეთა ღირებულებების ფორმირების პროცესში

ნ. ფურცელაძე

კერძო სკოლა „ქორალი”
n.purtseladze87@gmail.com

მოსწავლეთა ღირებულებების ფორმირების პროცესში საკლუბო მუშაობას მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია. ცხადია, თითოეულ სასკოლო კლუბს განსხვავებული მისია და მიზნები ექნება, მაგრამ საერთო ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი - ამა თუ იმ სასკოლო კლუბის ფუნქციონირება უკავშირდება არასაგაკვეთილო დროს(აც) და აქტივობებს(აც), ეს კი მოსწავლეთა ინტერესებს აღვივებს. საუკეთესო შემთხვევაში, თუ კლუბის მუშაობა იგეგმება ბავშვების სურვილებისა და საჭიროებების გათვალიწინებით, დიდია ალბათობა, რომ მათი ჩართულობის ხარისხი გაიზარდოს.

რა გავლენა შეიძლება მოახდინოს კლუბმა მოსწავლეების ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაზე? ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად მიმოვიხილავთ ლიტერატურული კლუბის -, , წიგნიერის” საქმიანობას, რათა კონკრეტული მაგალითების საშუალებით შევძლოთ შედეგებზე საუბარი.

ლიტერატურული კლუბი „წიგნიერი”, რომლის მთავარი მიზანი მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლებაზე ზრუნვა და არაფორმალური განათლების ხელშეწყობაა, 2013-2014 სასწავლო წელს დავაარსეთ მე და ჩემმა მოსწავლეებმა. 2016 წელს სკოლამ გამოგვიყო სივრცე, რომელშიც მრავალფუნქციური ლიტერატურული სალონი მოვაწყვეთ. აქ ბავშვები მათთვის სასურველ დროს კითხულობენ, საუბრობენ წაკითხულ წიგნებზე, შთაბეჭდილებებს ერთმანეთს უზიარებენ, ესწრებიან ფილმების ჩვენებას, დისკუსიებს, შეხვედრებს, რაც, ბუნებრივია, ხელს უწყობს მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებასა და ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებას.

კლუბის წევრობა არ არის სავალდებულო, სხვადასხვა შეხვედრასა და ღონისძიებაში მონაწილეობენ მხოლოდ ის მოსწავლეები, რომელთაც სურთ. სწორედ თავისუფალი არჩევანი განაპირობებს მოტივაციის ზრდას და შედეგად უმრავლესობას უჩნდება სურვილი კლუბ „წიგნიერის” ცხოვრებაში ჩართვისა. ჩემთვის, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისთვის, ერთ-ერთი მთავარი ღირებულება შემწყნარებლობა, ადამიანისა და მისი შეხედულებების პატივისცემაა. კლუბის თავისუფალ დისკუსიებში მონაწილეობამ, იმის განცდამ, რომ ნებისმიერ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ინდივიდუალური პოზიცია,

მოსწავლეებს გამოუმუშავა განსხვავებული აზრის პატივისცემისა და შეხედულების თავისუფლად გამოხატვის უნარი.

უწყვეტი პროცესი წიგნების თავისუფლად შერჩევისა და კითხვისა არა მხოლოდ წიგნიერების კომპეტენციას უვითარებს მოსწავლეებს, ისინი იღებენ უდიდეს გამოცდილებას. სწორედ ესაა ჩვენი საკლუბო მუშაობის მთავარი მიზანი, ამა თუ იმ წიგნის წაკითხვა მოსწავლეებისათვის დაუკავ-შირდეს ერთგვარ გამოცდილებას (რომელსაც ცხოვრებაში გამოიყენებენ) და ჩამოუყალიბდეთ ჯანსაღი ღირებულებები, ფასეულობები.

მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმობა 2016-2017 სასწავლო წლის მეორე სემესტრში კლუბ „წიგნიერში" ჩატარებული 3 ღონისძიების მიმოხილვას:

1. VI კლასი - წიგნის - „ერთი გრძელი დღე სხვა პლანეტაზე" - კითხვის პროცესი → სამზადისი და შეხვედრა ავტორთან - თეა თოფურიასთან → შედეგები;

2. VI კლასი - „ჰარი პოტერის" სერიის წიგნების კითხვის პროცესი → კედლის გაზეთების მზადება, ლიტერატურული კაფეს მოწყობა, ფილმის ჩვენება → შეხვედრა ალექსანდრე ლორთქიფანიძესთან, დისკუსია → შედეგები;

3. XI კლასი - ახალგაზრდა ქართველი მწერლის - ტორესა მოსის რომანების კითხვის პროცესი → შეხვედრა მწერალთან, დისკუსია → შედეგები;

მოხსენებისას ვისაუბრებთ წინაპირობებსა და შედეგებზე, განვიხილავთ მოსწავლეთა ნაწერებს (ერთგვარ რეზულტატებს), რომლებშიც გამოჩნდა ის, თუ როგორ შეუწყო ხელი საკლუბო მუშაობამ, დაგეგმილმა და განხორციელებულმა აქტივობებმა მოსწავლეთა მსოფლმხედველობისა და ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესს.

მასწავლებლის და მოსწავლის ურთიერთობა

მ. უდესიანი

ქ. დმანისის სოფ. ზემო ოროზმანის საჯარო სკოლა
madonaudesiani77@gmail.com

„არ არსებობს იმაზე მეტი ხელოვნება ვიდრე აღზრდის ხელოვნებაა. ფერმწერი და მოქანდაკე ქმნის უსულო სურათს ან ქანდაკებას. ბრძენი აღმზრდელი ქმნის ცოცხალ ხატს, რომლის შემხედვარე ღმერთი და ადამიანები არსებობენ“

იოანე ოქროპირი

კვლევები ადასტურებს, რომ მასწავლებლის და მოსწავლის ურთიერთობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის ფასილიტაცია ხელს უწყობს მოსწავლის სწორ დამოკიდებულებას, რაც მის შემდგომ ცხოვრებაზე აისახება.

პედაგოგიკაში ხშირად ისმის კითხვა, როგორი უნდა იყოს ურთიერთობა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის? ამ თემაზე არაერთი სტატიაა დაწერილი, ბევრი კვლევაა ჩატარებული, მეცნიერთა მიერ არაერთი თეორიაა შექმნილი, რომელთა ცოდნა მნიშვნელოვნია მასწავლებლის და მოსწავლის ურთიერთობაში. სწავლება ცოცხალი პროცესია, ყოველ მასწავლებელს საკუთარი მიდგომა აქვს მოსწავლესთან. საინტერესოა გაანალიზდეს, რამდენად მნიშვნელოვანია ურთიერთობები სკოლაში და რა კორელაცია არსებობს სწავლა-სწავლებასა და ურთიერთობებს შორის. სკოლაში მოსწავლეთა სწავლა (ან არსწავლა) დამოკიდებულია ურთიერთობის სამ ძირითად ტიპზე:

1.საგანთან ურთიერთობა;
2. სხვა მოსწავლეებთან ურთიერთობა;
3.მასწავლებელთანურთიერთობა.

მოზარდის განვითარებაში ძალიან დიდია დაწყებითი კლასის პედაგოგის როლი წიგნიერების კომპეტენციისა და ღირებულებების ჩამოყალიბებაში. დაწყებითი პედაგოგის მთავარ ფუნქციად აღიარებულია, ბავშვს შეუქმნას სწავლის განწყობა და განუვითაროს მეტაკოგნიტური უნარები. რისთვისაც თითოეულ გაკვეთილში უნდა შეიტანოს რაღაც კრეატიული და თამაშით

აიყოლიოს მოსწავლე, რადგან განვითარების ამ ეტაპზე ბავშვის აზროვნება ეგოცენტრულია და თამაშზეა ორიენტირებული.

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაზე დაყრდნობით, მინდა გამოვყო რამდენიმე კომპონენტი, რომლებიც მასწავლებელს მოსწავლეებთან მეგობრული, მტკიცე და ხანგრძლივი ურთი ერთობის დამყარებაში ეხმარება:

1. არსებითია მასწავლებლის გულწრფელობა;
2. მნიშვნელოვანია მოსწავლეების ახლოს გაცნობა;
3. აუცილებელია მოსწავლეების დაფასება;
4. არსებითია მოსწავლეების მოსმენა და უკუკავშირი;
5. ეფექტური კომუნიკაცია მოზარდებთან;
6. აუცილებელია მოსწავლის ოჯახთან ურთიერთობა.

მასწავლებელი ყოველთვის გულწრფელი უნდა იყოს მოსწავლესთან, მათი ურთიერთობა უფრო თანამშრომლობით ხასიათს უნდა ატარებდეს და არ უნდა იყოს დასჯაზე, მკაცრ წესებსა და კანონებზე დაფუძნებული. წესებიც უნდა იქმნებოდეს, მაგრამ წესებს ვერ დაიცავ, თუ ორივე მხარემ არ ითანამშრომლა.

დისციპლინა კლასში დიდ ზეგავლენას ახდენს როგორც გაკვეთილის მსვლელობაზე, ასევე მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობაზე. წესების შემუშავებისას აუცილებელია ურთიერთთანამშრომლობით შეიქმნას თითოეული წესი და რაც მთავარია, შემუშავებულ წესებს არ უნდა ჰქონდეს ფორმალური ხასიათი, ის აუცილებლად უნდა იქნეს გაკვეთილზე გამოყენებული.

მასწავლებლის და მოსწავლის ურთიერთობისთვის უმთავრესია სიყვარული, ნებისმიერი მოსწავლის ქმედებას მასწავლებელმა სიყვარულითვე უნდა უპასუხოს, სწორედ რომ სიყვარული ხდის მოსწავლის და მასწავლებლის ურთიერთობას ჰარმონიულს.

ლიტერატურა:

1. http://kenozisi.ge/geo/maswavleblis-urtiertoba-moswavleebtan/ უკანასკნელად გადამოწმებულია 27. 07. 2017
2. http://steinhardt.nyu.edu/appsych/opus/issues/2013/fall/gallagher უკანასკნელად გადამოწმებულია 27. 07. 2017
3. https://www.csun.edu/~acc50786/Education.html უკანასკნელად გადამოწმებულია 27. 07. 2017

ტექსტის მულტისემიოტიკური ინტერპრეტაცია და ახალი უნარების განვითარება

ც. ბარბაქაძე-

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
tsira_barbakadze@iliauni.edu.ge

ენა - უნივერსალური მულტისემიოტიკური სისტემაა და მხატვრული ტექსტი ერთდროულად შეიცავს განსხვავებულ სემიოტიკურ განზომილებას. ვერბალური ტექსტი შეგვიძლია დავშალოთ: აუდიალურ, ვიზუალურ და კინესთეტიკურ სახეებად, რომლებიც ზემოქმედებენ ადამიანის ცნობიერებაზე და წარმოქმნიან განსხვავებულ განწყობებს და შეგრძნებებს.

ენის ძირითადი ფუნქცია ურთიერთგაგებინების ფუნქციაა… თუმცა ამავე ენის მეშვეობით სულ უფრო ნაკლებად ესმით ადამიანებს ერთმანეთის.

რაკი ვიცით, რომ მსმენელები შეიძლება იყვნენ განსხვავებული აღქმის, აზროვნებისა და შემეცნების, სწავლება ყოველთვის გათვლილი უნდა იყოს ყველა კატეგორიაზე და, ამავე დროს, მასწავლებელი უნდა შეეცადოს, აზროვნების ყველა არხი გაუხსნას მოსწავლეებს, რათა მათ უკეთ ესმოდეთ საკუთარი თავის, ერთამენთის და ამ გზით აღმოაჩინონ საკუთარი უნარებიც, რომელთა მეშვეობითაც უკეთესად ორიენტირდებიან მომავალში პროფესიაზე. განსხვავებული პროფესიები ხომ განსხვავებულ უნარებს მოითხოვს…

პოეზიის სწავლებისას განსაკუთრებით მოხერხებულია განსხვავებული სემიოტიკური სისტემების აღმოჩენა და ტექსტის დაშლა აუდიალურ, ვიზუალურ და კინესთეტიკურ სახეებად.

მოზარდების სასწავლო მოტივაციის ტიპებისა და სწავლის ხელშემწყობი ფაქტორების კვლევა

თ. მაისურაძე, ნ. ლაზარტყავა*

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nina.labartkava@gmail.com

მოზარდობის ასაკში სწავლის მოტივაციას აქვს ორგვარი და ხშირად პარადოქსული ხასიათი. ერთი მხრივ ხდება სწავლის მოტივაციის შემცირება, რაც იხსნება იმით, რომ მოზარდს უჩნდება ცხოველი ინტერესი სკოლის გარეთ არსებული გარემოს მიმართ, მისთვის მეტად მნიშვნელოვანი ხდება სოციალური ურთიერთობები. უმცროს მოზარდებთან წამყვანი ხდება კლასში გარკვეული ადგილის დამკვიდრების, თანატოლების მხრიდან აღიარების მიღების მოტივები. უფროს მოზარდებთან კი მეტად იჩენს თავს სასწავლო საგნებისადმი დიფერენცირებული ინტერესი. რაც ერთი მხრივ, განპირობებულია ჭეშმარიტი შემეცნებითი ინტერესებით, და მეორე მხრივ, თვითაქტუალიზაციისა და მიღწევის მოტივებით.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა უმცროსი და უფროსი მოზარდების მოტივაციის ტიპების და სწავლის ხელშემწყობი ფაქტორების შესწავლა.

კვლევის ობიექტები არიან ქ. თბილისში მცხოვრები უმცროსი და უფროსი მოზარდები, უმცროსი მოზარდები 12-დან 15 წლამდე და უფროსი მოზარდები 15-დან 18 წლამდე. კვლევის ტიპი გახლდათ რაოდენობრივი და თვისებრივი. გამოყენებული კვლევის მეთოდებია ანკეტირება და ფოკუს-ჯგუფი. რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 200-მა მოსწავლემ, თვისებრივში - 32-მა.

სხვადასხვა ავტორთა შრომების ანალიზის შემდგომ (ა. ვულფოლკი. გოგიჩაიშვილი, ი. დუბროვინა, ფ. რაისი) კვლევის ინსტრუმენტად შევარჩიეთ ევგენია ლეპეშოვას „მოტივაციის საკვლევი კითხვარი“. კითხვარს თან ახლავს სკალები, რომლითაც შესაძლებელია ინდივიდის, კლასის, თუ კოჰორტის შედეგების დათვლა.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ:

უმცროს მოზარდებში ყველაზე მაღალი შედეგი აჩვენა:

- სოციალური მოტივაციის ტიპმა (m=2, 58), მოზარდებისთვის მნიშვნელოვანია თანატოლებთან ურთიერთობის მოტივი;
- სოციალური საჭიროების გაცნობიერებამ (m=2, 56), მოზარდისთვის მნიშვნელოვანია იყოს განათლებული;
- სწავლის პრესტიჟულობამ ოჯახში (m=2, 46).

უმცროს მოზარდებში ყველაზე დაბალი შედეგი აჩვენა:

- კლასში ცოდნის პრესტიჟულობამ (m=1, 29);
- სოციალურმა სასურველობამ (m=1, 38), ნაკლებად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სოციალური აღიარება თანაკლასელების მხრიდან როგორც კარგი შემსწავლელის;
- სოციალურმა სასურველობამ (m=1, 58), აღიარებამ მასწავლებლების მხრიდან.

უფროს მოზარდებში ყველაზე მაღალი შედეგი აჩვენა:

- სოციალური საჭიროების გაცნობიერებამ (m=2, 70), მოზარდისათვის მნიშვნელოვანია იყოს განათლებული;
- სოციალურმა მოტივმა (m=2, 55), სასწავლო გარემოში თანატოლებთან ურთიერთობის მოტივმა;
- შემეცნებითმა ინტერესებმა (m=2, 40).

უფროს მოზარდებში ყველაზე დაბალი შედეგები აჩვენა:

- კლასში ცოდნის პრესტიჟულობამ (m=1, 11);
- სოციალურმა სასურველობამ თანაკლასელების მხრიდან (m=1, 34);
- სოციალურმა სასურველობამ მასწავლებლების მხრიდან (m=1, 36).

კვლევამ ასევე ცხადყო, რომ განსხვავებულია უმცროს და უფროს მოზარდთა სწავლის ხელშემწყობი ფაქტორები. უმცროს მოზარდებს სწავლაში დახმარებას უწევს მეტად ჯგუფური სამუშაოები და იმგვარი პიროვნული ფაქტორები, როგორებიც არის - მიზანდასახულობა და საკუთარი თავის რწმენა, სკოლაში მეგობრული გარემო, მშობლების მხრიდან დახმარება. მოზარდები ხელისშემშლელ ფაქტორად ასახელებენ სახელმძღვანელოების შინაარსს, სადაც მწირი ინფორმაციაა წარმოდგენილი ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ხოლო, უფროსი მოზარდების აზრით სწავლაში ხელისშემწყობი ფაქტორია ყურადღების კონცენტრაცია სასწავლო შინაარსზე, ძლიერი, კონკურენტუნარიანი კლასი, უკეთეს დახმარებას კი მათ გაუწევდა სახელმძღვანელოებში მეტი მაგალითებისა და ნაკლები უცნობი ტერმინების არსებობა. მეტი პრაქტიკული მეცადინეობები, მასწავლებლის მიერ თვალსაჩინოებების გამოყენება, ექსპერიმენტების ჩატარება, ღია გაკვეთილები, სადაც მოსწავლეები ფართო აუდიტორიის წინაშე გააკეთებდნენ პრეზენტაციებს და მათი მხრიდან მიიღებდნენ აღიარებას.

ლიტერატურა:

1. ბერკი, ლ. (2010) „ბავშვის განვითარება“, თბილისი;

2. გოგიჩაიშვილი, თ. (2011) „მოსწავლის ასაკობრივი ფსიქოლოგია“, თბილისი;
3. ვულფოლკი, ა. (2009) განათლების ფსიქოლოგია, თბილისი;
4. ელბაქიძე, ნ. (2016) პედაგოგიური გზამკვლევი პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის, თბილისი;
5. მელიქიშვილი, მ. (2014) ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი;
6. მელიქიშვილი, მ. (2013) მოტივაცია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი;
7. უზნაძე, დ. (2005) ბავშვის ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია, თბილისი;
8. უზნაძე, დ. (2005) პედაგოგიური თხზულებანი, თბილისი;
9. Дубровина, И. (2007) Практическая психологиа образованиаб, (4-е издание) Питер.
10. Краиг, Г. Бокум, Д. (2004) ПсихологияРазвития 9-оеиздание, Питер;
11. Райс, Ф. Долджин, К. (2010) Психология подросткового и юношеского возраста, Питер;
12. Anderman, E. Griesinger, (1998) Motivation and Cheating During Early Adolescence.
13. Journal of Educational Psychology Copyright by the American Psychological Association, Vol. 90, No. 1, 84-93.
14. Anderman, L. H,. & Kaplan, A. (2008). The role of interpersonal relationships in student motivation: Introduction to the special issue. Journal of Experimental Education, 76(2), 115-119.
15. Ames, C. (1992). Classrooms: Goals, structures, and student motivation. Journal of Educational Psychology, 84(3), 261-271. Ames, C,. & Archer, J. (1988). Achievement goals in the classroom: Students' learning strategies and motivation processes. Journal of Educational Psychology, 80(3), 260-267.

გამჭოლი კომპეტენციები – თეორიიდან პრაქტიკამდე

ნ. რატიანი

ევროპული სკოლა
n.ratiani@europeanschool.ge

იდეალურია, როდესაც ადამიანებს საერთო ღირებულებები გააჩნიათ, მაგრამ ცხოვრება საწინააღმდეგოს გვიჩვენებს - ეს ერთი შეხედვითაა, რომ ღირებულებები უნივერსალურია, ადამიანები იზიარებენ მათ და ყველანაირად ცდილობენ, ისე მოიქცნენ, რომ ამ ღირებულებებს არ უღალატონ. სინამდვილეში დაპირისპირებას სწორედ განსხვავებული ღირებულებები იწვევს. ამის მიზეზი ისაა, რომ ღირებულებები მეტწილად შეხედულებებს ეფუძნება. თუკი ღირებულებები შენობაა, შეხედულებები ამ შენობის ასაშენებლად გამოყენებული საშენი მასალაა. შეხედულებები ყველაზე ცვალებადი რამაა. შეხედულებები მომდინარეობს წარსული გამოცდილებიდან, შეხედულებებზე გავლენას ახდენს უამრავი ფაქტორი, გარემო, რომელშიც აღვიზარდეთ, წრე, რომელშიც ვტრიალებთ, რა გვესმის, რას ვხედავთ, რას ვკითხულობთ. გვიყალიბდება შეხედულებები და დარწმუნებულები ვართ, რომ ეს შეხედულებები უტყუარია. უმეტესად ვერც ვაცნობიერებთ, რომ ზოგჯერ ეს შეხედულებები მცდარია. ვიცვლით გარემოს, ვიცვლით წრეს და იცვლება ჩვენი შეხედულებებიც. თავად ვრწმუნდებით, რომ მანამდე რაც ჭეშმარიტი გვეგონა, მცდარი აღმოჩენილა. ზოგჯერ კი ვერც ვაცნობიერებთ, ისე ვრჩებით მცდარ შეხედულებათა ტყვეობაში. განათლება უნდა დაგვეხმაროს ისეთ ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაში, რომელიც კი არ გვაპირისპირებს, არამედ გვაერთიანებს. მაგრამ აქ თავს იჩენს ერთი საფრთხე: განათლება არ დაემსგავსოს და არ გადაიქცეს ინდოქტრინიზაციად. რაც არ უნდა მართებული, დროში გამოცდილი იყოს ღირებულებები, თუკი არ ვასწავლით დავსვათ შეკითხვა „რატომ“ და არა პირდაპირ ჩავუდებთ თავში „რა“-ს, ხვალ შეხედულებების შეცვლა მარტივად შეარყევს ღირებულებებსაც. ამიტომაც განათლების სისტემა უნდა ცდილობდეს დანერგოს ისეთი მიდგომა, როდესაც ღირებულებებს კი არ ვასწავლით, არამედ, როდესაც შევეცდებით, დავაფიქროთ ღირებულებებზე; ჩვენ კი არ უნდა ვუნერგავდეთ ღირებულებებს მოსწავლეს, უნდა ვცდილობდეთ, ისეთი გარემო შევქმნათ, რომელშიც მოსწავლეები თავად ჩამოიყალიბებენ მართებულ შეხედულებებს და ამ შეხედულებებზე დაფუძნებით თავად შექმნიან ღირებულებათა სისტემას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თანამედროვე განათლების ფილოსოფია სწორედ უნარების განვითარებაზე და არა ცოდნის დაგროვებაზეა ორიენტირებული. ჩვენი განათლების სისტემისთვისაც პრიორიტეტულია სხვადასხვა კომპეტენციის განვითარება. ამ კომპეტენციების განვითარება

სწორედ იმის საწინდარია, რომ თავიდან ავიცილოთ ინდოქტრინიზაციის საფრთხე.

მოხსენების მიზანია, აჩვენოს, როგორ უნდა მოხდეს ზოგიერთი გამჭოლი კომპეტენციის განვითარება პრაქტიკაში ზემოთქმული საფრთხეების თავიდან არიდების მიზნით. ასევე მოხსენებაში გავაანალიზებთ იმ გამოცდილებას (ცოდნის თეორიის სწავლება), რომელიც წარმატებით ხორციელდება ერთ-ერთი საუკეთესო მოდელის - საერთაშორისო ბაკა-ლავრიატის ფარგლებში.

ავტორთა საძიებელი

ა

არავიაშვილი მ., 28

ბ

ბარბაქაძე ც., 61

გ

გოდუაძე მ., 37
გუმაშვილი რ., 16

დ

დიხამინჯია ნ., 26
დობორჯგინიძე ნ., 16

ე

ელიზბარაშვილი ე., 18

კ

კალხიტაშვილი თ., 16
კოტორაშვილი ლ., 43
კრაინერი ზ., 46

ლ

ლაბარტყავა ნ., 62
ლომაია ე., 31
ლომაძე ი., 18

მ

მაისურაძე თ., 62
მალაზონია დ., 23
მანგოშვილი ლ., 33
მემანიშვილი ქ., 37
მესხი ნ., 46
მოსიაშვილი თ., 20

რ

რატიანი ნ., 65

ს

საჯაია მ., 26
სვანიძე ნ., 52

ტ

ტალიაშვილი თ., 13

უ

უდესიანი მ., 58

ფ

ფირჩხაძე მ., 50
ფურცელაძე ნ., 56

შ

შავერდაშვილი ე., 20
შინჯიაშვილი თ., 39

ჩ

ჩაგელიშვილი თ., 41

ცანავა დ., 52

ჭ

ჭაუჭიძე გ., 35
ჭიაბრიშვილი ნ., 23

ხ

ხუნდაძე ი., 31

ჯ

ჯალიაშვილი მ., 54
ჯინჭარაძე ნ., 45

შენიშვნებისათვის

ორგანიზატორები

www.tpdc.org.ge

www.mes.gov.ge

პარტნიორები

www.mastsavlebeli.ge

სამეცნიერო
ფესტივალი